

საქართველოს სამედიცინო მოამბე

*სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
ჟურნალი დაარსდა 1922 წელს*

2

*აკრილი - ივნისი
2005*

ჯანბირ მამალაძე (მთავარი რედაქტორი)

სარედაქციო კოლეგია:

**ო. გერჯევა, კ. ბელაშვილი,
თ. ღაკანოსიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
ფ. თოდუა, ბ. იოსელიანი, პ. კინტრაძე,
პ. საბაძე, ე. ქვერტილაძე,
ლ. ქურციკაშვილი, ზ. ლულუნიშვილი,
ნ. ყიფშიძე, რ. შაქარაშვილი,
ლ. შენიკაძე, ს. ხინჩიანი,
რ. ხაჩიანი**

რედაქციული მდივანი, თბილისი

რადიაციული ფონი წყალტუბოში და მისი ჰიბიენური შეფასება მოსახლეობის ონკოლოგიური დაავადებების ბანკითარების თვალსაზრისით

პროფ. კ. გელაშვილი, პროფ. რ. გაგუა, რ. ჯორბენაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი

წყალტუბო მდიდარია რადონის შემცველი მიწისქვეშა წყლებით, რომლებიც ზედაპირზე გამოდის და ათეული წლების განმავლობაში გამოიყენება ბალნეოთერაპიის მიზნით. ამ პროცესში ხდება რადონის ემანაცია გარემოში, შენობებში.

80-90-იან წლებში სამეცნიერო პუბლიკაციებსა და მონოგრაფიებში, რომლებიც ეხებოდა რადიაციულ უსაფრთხოებას, დიდი ყურადღება დაეთმო რადონის პრობლემას, განსაკუთრებით მის კონცენტრაციას შენობებში. რადონი აღიარეს ფილტვის კიბოს გამომწვევად, რომელსაც, თამბაქოს შემდეგ, პირველი ადგილი უკავია ამ დაავადების სიხშირის მატებაში. ეს საკითხი იმდენად აქტუალური იყო, რომ სკანდინავიის ქვეყნებში ასი ათასობით შენობა დაანგრიეს, რომელთა საშენი მასალა მომატებული რაოდენობით გამოყოფდა რადონს [1]. ამავე წლებში მოხდა ახლადასაშენებელ და უკვე აშენებულ შენობებში რადონის შემცველობის ნორმირება, რომელმაც ასახვა ჰპოვა ჩვენს ნაციონალურ სანიტარიულ კანონმდებლობაშიც [2].

რადონის პრობლემის მნიშვნელობამ განაპირობა ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე, რუსეთში მრავალმილიონიანი და მილიარდიანი დაფინანსებით სპეციალური პროგრამების – „რადონი“ შექმნა, რომელიც ეხებოდა რადონის რადიაციული უსაფრთხოების საკითხებს. ამან განაპირობა ისიც, რომ წარსულში ისეთი მნიშვნელოვანი სამკურნალო მეთოდი, როგორცაა რადონთერაპია, გამოცხადებული იყო როგორც პრინციპულად მავნე და ასახვა ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომური რადიაციის მოქმედების სამეცნიერო კომიტეტის ფუნდამენტურ მოხსენებაში [3].

უკანასკნელ წლებში გაჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც უარყოფს რადონთერაპიით გამოწვეული დასხივების მცირე დოზების კანცეროგენურ მოქმედებას და, პირიქით, თვლის, რომ ამ დოზას ახასიათებს ე.წ. „გორმეზისი“, ანუ, გარკვეულ ინტერვალში დოზები ანტიკანცეროგენულია და, უფრო მეტიც, რეკომენდებულია ძალზედ დაბალი რადიაციული ფონის პირობებში მისი გაზრდა, ვთქვათ, რადონით ბალნეოთერაპიის გზით, რის შედეგადაც სიმსივნური დაავადებების რაოდენობა მცირდება (აგრეთვე, ინფექციურისაც), ძლიერდება იმუნიტეტი, იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა, ნაყოფიერება [4,5]. რადონის მცირე დოზის დადებითი მოქმედება („რადიაციული გორმეზისი“) აისახა შნ ღ-ის 1994 წლის მოხსენებაშიც [6], თუმცა საერთო აზრი, რომელსაც ყველა აღიარებს, ის არის, რომ რადონით დასხივების დოზის სიმძლავრის (ანუ დროის ერთეულში მიღებული დოზის) ზრდასთან ერთად, სიმსივნის გაჩენის ალბათობა იზრდება (მაგალითად, ურანის საბადოებში მომუშავე პირთა შორის ეს დაავადება ძალზედ ხშირია).

რადონის „რადიაციული გორმეზისის“ საწინააღმდეგოდ მრავალი მეცნიერი დღესაც თვლის, რომ მაიონებელი გამოსხივების მცირე დოზა იწვევს ავთვისებიანი სიმსივნეების გაჩენას, გენეტიკურ ცვლილებებს, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას, ორგანიზმის წინააღმდეგუნარიანობის დაქვეითებას გარემოს მავნე ფაქტორების მოქმედების მიმართ, იმუნიტეტის დათრგუნვას და სხვ. [7,8,9,10,11]. ამიტომაც რადიოლოგიური დაცვის

საერთაშორისო კომიტეტი (ჩქდ) ნებისმიერი მცირე დოზის მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე მავნედ მიიჩნევს (ე.წ. „უზღვრო მოქმედების“ კონცეფცია). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონცეფცია, ძირითადად, განპირობებულია პერსონალისა და მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის უზრუნველსაყოფად. ასეთი მაქსიმალიზმი გამომდინარეობს იქიდან, რომ ჯერ კიდევ არაა სრულად შესწავლილი მაიონებელი გამოსხივების მცირე დოზის ორგანიზმზე მოქმედების მავნე ეფექტი და ზუსტად დადგენა სად გადის ზღვარი მცირე დოზის „სხივურ გორმეზისსა“ და პათოლოგიურ მოქმედებას შორის, დასხივების სიმძლავრის გათვალისწინებით, ჯერჯერობით ძალიან რთულია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შეგვედარებინა წყალტუბოს რადიაციული ფონი და ამ რეგიონში არსებული ონკოლოგიური დაავადებების, განსაკუთრებით ფილტვის კიბოთი დაავადებების სიხშირე და დაგვედგინა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

1997 წელს, ჩვენ მიერ, გაზომილი იყო წყალტუბოს გამა-რადიაციული ფონი ღია ადგილებსა და შენობებში (საშუალოდ 95,2 და 117,9 ნგრ/სთ შესაბამისად). რაიმე არსებითი გადახრა, საქართველოს დანარჩენი რეგიონების გამა-რადიაციულ ფონთან შედარებით, არ დაფიქსირებულა (იმერეთის რეგიონში – 100,3 და 107,0 ნგრ/სთ, ქუთაისში – 6,5 და 126,2 ნგრ/სთ), დასავლეთ საქართველოში – 112,4 და 123,9 ნგრ/სთ, აღმოსავლეთ საქართველოში – 85,8 და 120,6 ნგრ/სთ შესაბამისად [12,13,14]. არ დაფიქსირდა, აგრეთვე, რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა ღია ადგილებისა და შენობების გამა-რადიაციულ ფონს შორის, რაც არაპირდაპირი გზით მიგვანიშნებს, რომ შენობებში არ უნდა იყოს რადონის მაღალი კონცენტრაცია.

ამ გამოკვლევების პარალელურად, გავაანალიზეთ, აგრეთვე, საქართველოს ონკოლოგიური დაავადებების ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემები იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ფილტვის კიბოთი დაავადებებიანობის შესახებ (მთლიანად იმერეთის რეგიონი, ქუთაისი და წყალტუბო).

წყალტუბოს მოსახლეობის ავთვისებიანი სიმსივნეებით ყველა ავადობის საშუალო ინტენსიური მაჩვენებელი (71,3) სტატისტიკურად სარწმუნოდ ნაკლებია იმერეთისა და ქუთაისის მოსახლეობის ავადობის მაჩვენებელზე (1,4 და 1,6 ჯერ შესაბამისად). ასევე შემცირებულია წყალტუბოს მოსახლეობის ფილტვის კიბოთი ავადობის საშუალო ინტენსიური მაჩვენებელი. 1970-2003 წწ., იგი შეადგენს 10,2, ანუ ქუთაისის მაჩვენებელზე 4,7-ით, ხოლო იმერეთის მაჩვენებელზე 3,6-ით ნაკლებს, თუმცა ეს სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნო არ არის ($t=1<2$).

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის რეგიონისა და მათ შორის ქუთაისისა და წყალტუბოს მოსახლეობა ცხოვრობს ერთი და იგივე კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში, არიან ერთი ეთნიკური კუთხის მცხოვრებნი, აქვთ ერთი და იგივე ტრადიციები, ჩვეულებები და კვების თავისებურებები, იღებენ ერთი და იგივე სასმელს და საკვებს, მათი ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობა განსხვავდება (როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში) და ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა. რაც შეეხება წყალტუბოს მოსახლეობის ფილტვის კიბოთი ავადობის ინტენსიურ მაჩვენებელს როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში ნაკლებია ქუთაისისა და მთელი იმერეთის შესაბამის მაჩვენებელზე, მაგრამ ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ არის. სავარაუდოა, რომ წყალტუბოს მოსახლეობის ავთვისებიანი სიმსივნით ავადობის დაბალი მაჩვენებელი ქუთაისის (და მთელი იმერეთის) მოსახლეობის ავადობასთან შედარებით, მხოლოდ ფილტვის კიბოს ავადობაში განსხვავებით არ არის განპირობებული, ხოლო რადიაციული ფონი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ერთნაირია იმერეთის რეგიონში, ქუთაისსა და წყალტუბოში და არსებითად არ განსხვავდება მთელი საქართველოს რადიაციული ფონისაგან. ამდენად, წყალტუბოს რადიაციულ ფონს რაიმე გავლენა ფილტვის კიბოთი დაავადებიანობის მატებაში არა აქვს. პირიქით, შეიმჩნევა ტენდენცია მისი კლებისაკენ.

ამრიგად, სავარაუდლოა, რომ რადონის ის კონცენტრაცია, რომელიც არის წყალტუბოს ღია ადგილებსა და შენობებში, არ იწვევს ფილტვის სიმსივნით ავადობის მატებას. პირიქით, აღინიშნება მისი კლების ტენდენცია. ისმება კითხვა: ხომ არ გვაქვს საქმე რადონის ალფა-გამოსხივების გარკვეული დოზის „გორმეზისულ“ მოქმედებასთან? საკითხი მეტად აქტუალურია, საჭიროებს შემდგომ მიზანმიმართულ გამოკვლევასა და ანალიტიკურ ქმედებას. კერძოდ, უშუალოდ წყალტუბოს ღია ადგილებსა და შენობებში რადონის კონცენტრაციის დადგენას და მისი ბიოლოგიური მოქმედების შეფასებას, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ ლიტერატურაში არსებულ მინიშნებებს, რომ რადონის დოზებს გარკვეულ ინტერვალებში აქვს ე.წ. „გორმეზისული“ ქმედება [4,5].

**Радиационный фон Цхалтубо и его гигиеничеЯя оценка в ЯЯзи
Яразвитиём онкологиЧеЯжих заболеваний наЯелениЯ**

Проф. К. Гелашв, л, , проф. Р. Гагуа, Р. Джорбенадзе

**Тб, л, ЯЯ, й гоЯударЯгвенный мед, ц, нЯ, й ун, верЯ тет,
Нац, ональный центр онколог, , , м. А. Гвам, чава**

Изучен гамма-радиационный фон Цхалтубо – открытых местностей, здан, й разл, чных назначен, й, которыйяказалсяяпредела. япоказателейЯИмерет, нскогоярег, она,я.Кута, с, я явсейЯГруз, , яРазн, цаяяя показателя. яфонаяткрыты. яместностейя, япомешен, йяневел, ка,янтожосвеннояказываетянаотсутств, яя высок, . яонцентрац, йярадонаяяпомешен, я. яПосколькуютощепр, знанаярольярадонаяяразв, т, , я злокачественногояпроцессаяялегк, . ябыляобработанястат, ст, ческ, йяматер, алянккозаболеваемост, я Имерет, нскогоярег, она,я.Кута, с, я, яЦхалтубо.яУстановленоястат, ст, ческ, ядостоверноеяменьшен, ея показателейя, нтенс, вност, яобщейяонколог, ческойяаболеваемост, яяя.яЦхалтубо,япояравнен, юяя г.Кута, с, я, ярег, онаяяяцелом.яБолеваемостяракомяялегкогоякакжеявнач, тельнояменьшена, я отяя стат, ст, ческ, яедостоверно.яРад, ац, онныйяфона(концентрац, яярадонаяявозду. ея, япомешен, я.)яЦ. алтубоя неявызываетяповышен, яяаболеваемост, янаселен, яяракомяялегкого;ябнаруж, ваетсяядажеятенденц, яяяяя сн, жен, ю.яВысказываетсяяпредположен, еяяяпроявлен, , я“гермез, са”яопределенны. ядозярадоная

Hygienic assessment of Tskhaltubo radiation background in relationship with oncologic morbidity of population

K. Gelashvili, R. Gagua, R. Jorbenadze

Gamma-radiation backgrounds of Tskhaltubo – open areas and buildings of various functions - have been studied. It is within the range of Imereti region, Kutaisi and the whole Georgia. Differences between radiation background rates of open areas and buildings are small, which obliquely shows, that there are not high concentrations of radon in buildings. Due to the well-known fact, that high concentration of radon causes pulmonary cancers, statistic materials of pulmonary oncomorbidity of Imereti region, Kutaisi and Tskaltubo have been studied. Reduction of oncomorbidity factors in Tskhaltubo as compared with whole region is statistically valid. Pulmonary cancer morbidity is significantly reduced as well, but it is not statistically valid. In conclusion, radiation background of Tskhaltubo does not cause increase of pulmonary cancer morbidity of population. Manifestation of “Gormezis” of certain doses of radon has been proposed.

ლიტერატურა:

Л, температура:

მიზნით, გაგაანალიზეთ განყოფილებაში გატარებული 345 ავადმყოფის ავადმყოფობის ისტორია. მათ შორის 29-ს (8,46%) ქირურგიული დაავადების დიაგნოზი დაესვა. მათი განყოფილებაში მიღების დიაგნოზები იყო: სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, სალმონელოზი, შიგელოზი, ამებიაზი. მიმღებში არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა გამოთქმული ეჭვი შესაძლო ქირურგიული დაავადების შესახებ, გარდა ერთისა, როცა მიმღებ განყოფილებაში ეჭვი მიიტანეს აპენდიციტზე.

ავადმყოფებს სტაციონარში დაუდგინდათ შემდეგი ქირურგიული დაავადებები: მსხვილი ნაწლავის სიმსივნე – 9-ს (31%); ღვიძლის აბსცესი – 5-ს (17,2%); გაუვალობა – 4-ს (14,76%), მწვავე მუცელი – 4-ს; აპენდიციტი – 2-ს, თითო-თითოს: ნაწლავიდან სისხლდენა, ადნექსიტი, საშვილოსნოს გარეორსულობა, ნაადრევი მშობიარობა. ავადმყოფთა შორის მამაკაცი იყო – 16 (55,18%), ქალი – 13 (44,82%). ასაკი: 20-40 წელი – 9, 41-60 წელი – 5, 61-70 წელი – 6, 71 წლისა და მეტის – 9. სულ ხანშიშესული იყო 15 (51,32%) ავადმყოფი. ე. შუვალოვას მონაცემებით, შიგელოზის დიაგნოზით სტაციონარში მოთავსებულ ავადმყოფთა 1/3-ში დგინდება მსხვილი ნაწლავის სიმსივნის არსებობა. ჩვენი მასალის მიხედვით, მსხვილი ნაწლავის სიმსივნემ 8,4% შეადგინა, ე.ი. ყოველი მე-12, 13-ე შემთხვევა. გამომგზავნი და მიმღები განყოფილების დიაგნოზის სხვაობის მიზეზები დაავადების ანამნეზის არასრული შეკრება და კლინიკური გამოკვლევაა. ავადმყოფებს, რომელთაც რამდენიმე თვის ხანგრძლივობის დიარეის ანამნეზი აქვთ, არ ჩატარებიათ ისეთი სავალდებულო გამოკვლევები, როგორცაა რექტორომანოსკოპია ან თითოთ გასინჯვა. შეცდომათა მიზეზია, აგრეთვე, ავადმყოფთა ასაკის გაუთვალისწინებლობა (სიმსივნით 9 ავადმყოფიდან 6 იყო 70 წელზე მეტი ასაკის). რაც შეეხება სისხლის საერთო ანალიზის ცვლილებებს (ლეიკოციტოზი, აჩქარებული ედს) გამოხატული იყო 80%-ში. 1-6 თვის განმავლობაში დიარეა აღენიშნა 7 ავადმყოფს. დიარეა-ყაბზობის მონაცვლეობა, სისხლიანი დეფეკაცია, მკურნალობის არაეფექტურობა აუცილებელს ხდიდა ჩატარებულიყო ინსტრუმენტული გამოკვლევა. ერთ შემთხვევაში ავადმყოფს ანამნეზში ჰქონდა, 4 წლის წინ, ოპერაცია მსხვილი ნაწლავის სიმსივნის გამო. ორ შემთხვევაში მუცლის პალპაციით ისინჯებოდა წარმონაქმნი-კონგლომერატი. მასალის კლინიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ დროზე შეკრებილი სრული ანამნეზი, ყველა სიმპტომის გამოვლენა, გამომგზავნი და მიმღების ექიმებს საშუალებას მისცემდა სწორი დიაგნოზის დასმაში და პაციენტისათვის დროული ქირურგიული დახმარების აუცილებლობის მიღებაში. რჩება შთაბეჭდილება, რომ გამომგზავნი ექიმები ამ მისიას ინფექციურ სტაციონარს აკისრებენ, თვითონ არ უღრმავდებიან დიარეის გენეზს. ამრიგად, საქმე გვაქვს სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეულ შეცდომასთან.

აპენდიციტი გავრცელებული და კარგად შესწავლილი დაავადებაა. მიუხედავად ამისა, 2 შემთხვევაში იგი გამომგზავნი და მიმღები განყოფილების ექიმთა შეცდომის მიზეზი გახდა. ლიტერატურის მონაცემებით, აპენდიციტის მიმდინარეობის დროს დიარეა 2%-ში გვხვდება (3,4). აღსანიშნავია, რომ აპენდიციტის დიაგნოზი, ორივე შემთხვევაში, სტაციონარში დაისვა პირველი ოთხი საათის განმავლობაში და ავადმყოფები გადაყვანილ იქნენ ქირურგიულ სტაციონარში.

ღვიძლის ამებურ აბსცესზე 5 შემთხვევაში ეჭვი არ იყო მიტანილი გამომგზავნი და მიმღები განყოფილების მიერ, 2-ში გამოგზავნის დიაგნოზი იყო ნაწლავთა ამებიაზი, თითო შემთხვევაში – შიგელოზი და ვირუსული ჰეპატიტი. ერთ შემთხვევაში მიმღებში ეჭვი გამოითქვა აბსცესის არსებობაზე, დანარჩენებში სწორი დიაგნოზი მე-3-7 დღეზე დაისვა. ყველა შემთხვევაში ჩატარდა ექოსკოპული გამოკვლევა. არ იყო გათვალისწინებული ღვიძლის გადიდება, სიმძიმის შეგრძნება და ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, ცხელება და ოფლიანობა ხანგრძლივად, ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში. ვირუსული ჰეპატიტის დიაგნოზით გამოგზავნილ ავადმყოფს აღენიშნებოდა სკლერების სუბიქტერიულობა და ღვიძლის ზომაში მომატება მაშინ, როცა ღვიძლის ფუნქციური სინჯები ნორმის ფარგლებში იყო. ყველა შემთხვევაში ღვიძლის აბსცესის მკურნალობა 5-7 დღით დაგვიანდა. ამის მიზეზი დაავადების კლინიკური ნიშნების შეუფასებლობა და

ლაბორატორიული, ინსტრუმენტული კვლევის შედეგების ლოდინი გახდა. აღსანიშნავია ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუთვალისწინებლობაც. ცნობილია 1998 წლის ამებიაზის ეპიდემიის თბილისში.

რაც შეეხება მწვავე მუცლისა და ნაწლავთა გაუვალობის დიაგნოსტიკას, იგი საკმაოდ რთულია, ხოლო გინეკოლოგიური დაავადებები, როცა იგი დიარეით მიმდინარეობს ძალიან ხშირადაა დიაგნოსტიკური შეცდომის მიზეზი, განსაკუთრებით აღნეკსიტი (სალპინგოოფორიტი). ჩვენ შემთხვევაში ეს დაავადება ჰოსპიტალიზაციის მე-2 დღეს გამოვლინდა.

ნაწლავური ინფექციის განყოფილებაში ქირურგიული დაავადებების გამოვლინება და ავადმყოფთა გადაყვანა პროფილურ სტაციონარში პირველ 4 საათში მოხდა 6 შემთხვევაში, 24 საათში – 7, 72 საათში – 3, 4-5 დღეში – 4, 7-8 დღეში კი 2 შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ გადაყვანილი ავადმყოფებიდან არც ერთ შემთხვევაში არ მოხსნილა ჩვენი დასმული დიაგნოზი.

მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფთა გამოკვლევის მეთოდები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, ქირურგიული დაავადებების გამოვლინება დიარეით შეპყრობილ ავადმყოფთა შორის მაინც გაძნელებულია. ამავე განყოფილებაში (1983-91წწ) ნაწლავთა ინფექციების დიაგნოზით გამოგზავნილ ავადმყოფთა შორის მსხვილი ნაწლავის სიმსივნე გამოვლინდა 82 შემთხვევაში (1). როგორც ჩანს, ნაწლავთა სიმსივნის დიაგნოსტიკაში შეცდომები კვლავ ხშირია. დაშვებული შეცდომების ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ იგი ძირითადად დაკავშირებულია კლინიკურ-ინსტრუმენტული გამოკვლევების არასრულად გამოყენებასთან ან კვლევის შედეგების არასათანადოდ შეფასებასთან. ძირითადად კი ექიმთა დაბალი, პროფესიული დონითაა განპირობებული. ექიმი ვალდებულია აქტიურად ეძებოს დაავადების სიმპტომები, შეაგროვოს მონაცემები დაავადების შესახებ. ეს, მართალია, რთულია, მაგრამ აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ შეცდომები, ავადმყოფი კი ვიხსნათ მოსალოდნელი საშიშროებისაგან.

ამრიგად, დიარეით მიმდინარე ქირურგიული დაავადებები ხშირად დაგვიანებით გამოვლინდება, ამიტომ პაციენტები დროულად ვერ იღებენ შესაბამის დახმარებას. ქირურგიული დაავადების მიმდინარეობა და გამოსავალი კი სწორედ მისი გამოვლენის დროითაა განსაზღვრული.

Выявлен, е . , рург, ЧеЖ, . заболеван, й в отделен, , к, шеЧны. , нфекц, й

я

я

Доц. А. Хабаз, , Т. Квел, дзе, Э. Хабаз,

Кафедра , нфекц, онны. болезней ТГМУ, Центр , нфекц, онной патолог, , , СПИДа , кл, н, чеЖой , ммунолог, ,

я

я

0 елья, ЯЯледован, яяфкл, н, чеЖ, йянал, зьявыявленныэвя2делен, , я, шечныэя, нфекц, йя, р3рг, чеЖ, эя заболеван, йэИз3зченоя345я, Яор, йяболезн, эНаряд3яякл, н, кофлабора2орным, я ярен2генолог, чеЖ, м, я , ЯЯледован, ям, яСровод, л, Яярек2ороманоЖоС, чеЖ, е, яф, броколоноЖоС, чеЖ, ея, яэоЖоС, чеЖ, ея , ЯЯледован, яяВыявленоя29я, р3рг, чеЖ, эязаболеван, й:яоСэолья2олЯойж, шк, яф, ябЯеЯяСечен, яф, я неСроэд, моЯльж, шечн, каяф, яЯрыйяж, во2яф, яСсенд, ц, 2яф, яянема2очнаяябеременноЯь, яднекЯ, 2, я СрерваннаяябеременноЯь, яобЯрен, еярон, чеЖогояСанкреа2, 2ая-яСоядном3ябольном3эБольныя

ბანკირობეული რეაქტიული ართრიტის კლინიკურ-ლაბორატორიული შეფასება

მ. გრიგორაშვილი, მედ.მეცნ.დოქტ. მ. ჟვანია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკა, პედიატრიაში სპეციალიზაციის კათედრა

სახსრების ანთებით დაავადებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეაქტიულ ართრიტს (რეა), რომელიც იმუნოკომპლექსური დაავადებაა. რეაზე ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც ართრიტი დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ ინფექციასთან ან გამომწვევ აგენტთან [1]. ტერმინი „რეაქტიული ართრიტი“ პირველად 1969 წელს შემოიტანეს ფინელმა მეცნიერებმა . ჰკონენ-მა, . ჰო და . შივეერს-მა გადატანილი იერსინიოზული ინფექციის ფონზე განვითარებული სტერილური ართრიტის აღსანიშნავად [3]. მის ხშირ გამომწვევად უროგენიტალური ინფექცია ითვლება, რომელთა შორის პათოგენობით ჩველამდია ტრაცტომატის გამორჩევა [2]. რეას კლინიკა პოლიმორფიზმით, ხშირი რეციდივებით, პროგრესირებადი მიმდინარეობითა და არაიშვიათად ქრონიზაციით ხასიათდება.

ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 1-15 წლამდე ასაკის 130 ავადმყოფი (70 გოგონა, 60 ვაჟი). ყველას აღნიშნებოდა რეიტერის ტრიადა (რ.ტ.). ავადმყოფებმა მომართეს კლინიკას დაავადების დაწყებიდან 3 თვიდან 2 წლამდე. პირველადი მცდარი დიაგნოზები იყო: რევმატიზმი (7,6%), იუვენილური რევმატიოიდული ართრიტი (9,6%), ირიდოციკლიტი (1,5%). თავიდანვე ჩვენ მიერ 81% შემთხვევაში სწორედ იყო დასმული რეას დიაგნოზი. ავადმყოფებმა, გამორჩეულად, ართრიტის გამო, მომართეს კლინიკას. უპირატესად აღინიშნებოდა ქვედა კიდურების მსხვილი სახსრების ასიმეტრიული დაზიანება, კუნთების ჰიპოტროფიისა და ე.წ. დილის შებოჭილობის გრძნობით. დაავადების პირველ ნიშანთა შორის გამოვლინდა მუხლის (57,6%), იდაყვის (19,2%), მენჯ-ბარძაყის (11,5%), მხრის (7,6%) სახსრების ანთებითი ცვლილებები. სახსრების დაზიანების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დაავადების დასაწყისში, სტატისტიკურად სარწმუნოდ ($<0,001$) ხშირად დაფიქსირდა მონოართრიტული დაზიანება (57,6%) ოლიგოართრიტთან (42,3%) შედარებით. კლინიკური სურათის სრული ჩამოყალიბების შემდეგ, სახსრების დაზიანება, ძირითადად, ოლიგოართრიტული ხასიათის იყო (61,5%), მონოართრიტული 38,4% შემთხვევაში გვხვდებოდა.

რენტგენოლოგიური მონაცემების ანალიზით, დაავადების დასაწყისში ძირითადად აღინიშნებოდა ეპიფიზური ოსტეოპოროზი (32%) და რბილი ქსოვილების ზომაში მომატება (65%). მოგვიანებით რბილი ქსოვილების შეშუპებისა და ოსტეოპოროზის სიხშირის მატებასთან ერთად ($<0,01$), წვრილი კისტოზური წარმონაქმნები (6,1%) და სასახსრე ზედაპირის შევიწროება (19,2%) აღინიშნა.

რეას დროს, სახსროვან სინდრომთან ერთად, ყურადღებას იპყრობდა სხვა კლინიკური ნიშნებიც. ზოგჯერ ფიქსირდებოდა ზოგადინფექციური სინდრომი (ტემპერატურული რეაქცია და ინტოქსიკაციის ნიშნები), რომელიც ვლინდებოდა არა მარტო დაავადების დასაწყისში, არამედ მისი კლინიკური სურათის სრული გაშლის ფაზაშიც. მას უპირატესად ზომიერი ხასიათი ჰქონდა და ძირითადად ფიქსირდებოდა რეას მწვავე დასაწყისში. ტემპერატურული რეაქცია აღინიშნა 30 შემთხვევაში (23%) და ძირითადად ატარებდა სუბფებრილურ ხასიათს.

რეას დროს კანის დაზიანება კერატოდერმიის სახით გამოვლინდა 3 შემთხვევაში (2,3%). პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანება სტომატიტის სახით აღინიშნებოდა დაავადების მწვავე დასაწყისში (60%). ვეგეტატიური ნერვული სისტემის დაზიანება

გამოვლინდა ჯერ კიდევ დაავადების დასაწყისში (მწვავე – 35,1% და ქვემწვავე – 38,9%) აგზნების, ძილის დარღვევისა და ზოგადი დათრგუნვის სინდრომის სახით.

რეას დროს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანება დაავადების მწვავე დასაწყისში (65%) გამოიკვეთა სინუსური არითმიის (30%), სინუსური ტაქიკარდიის (15%) სახით, რაც 20% შემთხვევაში კლასიფიცირდებოდა როგორც არარევემატული კარდიტი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიას, რომელიც, დაავადების როგორც მწვავე დასაწყისში, ასევე მიმდინარეობისას, ავადმყოფთა ნახევარს (50%) აღენიშნებოდა. ნაწლავური დისფუნქცია ვლინდებოდა 35%-ში, გასტრიტი, ქოლეცისტიტი, კოლიტი აღენიშნებოდა ავადმყოფთა 14%-ს, ლიმფადენოპათია, ჰეპატოსპლენომეგალია – 50% შემთხვევაში მწვავე მიმდინარეობისას.

სახსროვანი სინდრომის განვითარებას ხშირად წინ უსწრებდა თვალისა და შარდ-სასქესო ორგანოების დაზიანება. თვალის დაზიანება ვლინდებოდა კონიუნქტივიტის (100%) და ირიდოციკლიტის (1,5%) სახით. უროგენიტალური სისტემის დაზიანება აღენიშნებოდა ყველა ავადმყოფს და ვლინდებოდა შემდეგი სიმპტომებით: დიურეზული მოვლენები, სასქესო ორგანოებიდან გამონადენი და ქავილი.

კლინიკური ნიშნების პარალელურად, შესწავლილ იქნა ლაბორატორიული მაჩვენებლები. დამახასიათებელი იყო ლეიკოციტოზი $10,97 \pm 5,19$; ჩხირბირთვიანი ნეიტროფილების მატება $7,36 \pm 4,42$ და ე.დ.ს აჩქარება $23,92 \pm 11,38$.

სისხლის ბიოქიმიური მაჩვენებლებიდან აღინიშნა ანტისტრეპტოლიზინის ტიტრის $(430,41 \pm 139,14)$ მატება.

სისხლში მომატებული იყო ანტიკლამიდიური ანტისხეულების IgA $(1,94 \pm 1,50)$; IgM $(1,74 \pm 0,92)$; IgG $(1,77 \pm 1,48)$ ტიტრი.

ჩვენ შევისწავლეთ რეათი დაავადებულთა იმუნოლოგიური სტატუსი. ვლინდებოდა ყველა ავადმყოფის ლიმფოციტების საერთო რაოდენობის შემცირება. უპირატესად გამოხატული იყო T უჯრედოვანი სისტემის დისფუნქცია, რაც მდგომარეობდა სუპრესორ უჯრედთა (CD8) მომატებული აქტივობის ფონზე ჰელპერთა (CD4) $(27,07 \pm 1,16)$ დონის დათრგუნვით (CD4/CD8) $(1,09 \pm 0,12)$. ასევე დარღვეული იყო ნეიტროფილების ფაგოციტური აქტივობა, გამოხატული არასრული ფაგოციტოზით. გაზრდილი იყო ლეიკოციტთა სპონტანური სტიმულირების მაჩვენებელი (NBT ტესტი), რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ინფექციური პროცესის არსებობას. ჰუმორული იმუნიტეტის მხრივ დარღვევა უპირატესად სისხლის პლაზმაში IgA $(0,81 \pm 0,48)$; IgM $(1,25 \pm 0,73)$; IgG $(6,60 \pm 3,03)$ დონის დაქვეითებით ვლინდებოდა.

მიღებული მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ რეათი დაავადებულთა იმუნოლოგიური პათოლოგიის განვითარება მიმდინარეობდა ჰელპერ უჯრედთა დონისა ($P < 0,001$) და ნეიტროფილების ფაგოციტური აქტივობის დათრგუნვით ($P < 0,001$), რაც სავარაუდოა დაავადების გახანგრძლივებისა და ქრონიზაციის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს.

რეას მეურნალობის თანამედროვე პრინციპი ითვალისწინებს მაკროლიდური ჯგუფის ანტიბიოტიკების (ბოლო თაობის პრეპარატის - ვილპრაფენის), ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების (მოვალისი, ფელდენი), იმუნომაკორეგირებელი (რონკოლეიკინი) და მრავალმხრივი სიმპტომური საშუალებების გამოყენებას.

აღნიშნული მეურნალობის ფონზე 130 ავადმყოფიდან 45 აღენიშნა რეას ერთი გამწვაება, 85-ის დაავადება მიმდინარეობდა ტალღისებურად და ჰქონდა პროგრესირებული ხასიათი, მთლიანობაში 120 ავადმყოფში მიღწეული იყო რემისია სახსროვანი კომპონენტის ლიკვიდაციით (დაკვირვების ხანგრძლივობა 3 წლამდე). ამჟამად ორ ავადმყოფს აღენიშნება რეას აქტიური მიმდინარეობა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ რეა პოლისისტემური, პროგრესირებული დაავადებაა, დროული ადეკვატური თერაპია იძლევა მყარი რემისიის მიღების საშუალებას.

Кл, н, ко-лабораторная эраактер, Яг, ка реакт, вного артр, та элам, д, озной эт, олог, , у детей

Мэ Гр, горашв, л, , доктэмеднауке Мэ Жван, Я

Ка- едра Яец, ал, зац, , по пед, атр, , ТГМУ

я
ОбЯледован, ея№0яде2ейяЯреак2, внымяр2р, 2омяСоказало,я2оязаболеван, еяварак2ер, 3зе2Яя
СрогреЯЯ р3ющ, мязечен, емяЯСол, Я Яемным, яСроявлен, ям, эМ, шеньюяСр, яреак2, вномяр2р, 2ея
являе2ЯяВЯДавнойяЯ ндромэЛечен, еяреак2, вногояр2р, 2аявключаетяСр, менен, еян2, б, о2, ковягр3Ссыя
макрол, дов,янекор2, коЯДеро, дныэяСро2, воовяСал, 2ельныэя я, мм3нокорр, г, р3ющ, эяЯредЯВ,яя2акжея
многояДороннююяЯ мС2ома2, чеЯК3юя2ераС, юэя
НаяфонеяСрөведенногояЛечен, яя зя№0ябольныэя45яю2мечалаЯят, шыяднаяволнаяязаболеван, яэУ85яде2ейя
реак2, вныйяр2р, 2яарак2ер, зовалЯяволнообразнымяСрогреЯЯ р3ющ, мязечен, емэВяцеломяя№0ябольныэя
доЯ, гн32аяЯдойкаярем, ЯЯ яядл, 2ельноЯЯянаблуден, яядоэяте2ЧЯял, кв, дац, ейяВЯДавногояЯ ндромэВя
наЯдоэяеевремяязяв3эябольныэю2мечаетЯяак2, вноеязечен, еяязаболеван, яэя
Следова2ельно, яЯвоевременнаяядеква2наяя2ераС, яядае2явозможноЯЯядоЯ, гн32ьяЯдойкойрем, ЯЯ , яСр, я
реак2, вномяр2р, 2ея

Clinical and laboratory estimation of reactive Arthritis of Chlamydial etiology among children

M. Grigorashvili, M. zhvania

Observational data on the 130 children with reactive arthritis give an opportunity to conclude that the disease is characterized by progressive course, polysystemic manifestation. Joint syndrom represents the scoff organ. Treatment of reactive arthritis includes macrolide antibiotics, NSAID, immunocorrecting agents and multilateral symptomatic therapy.

Against the background of the treatment only one wave of illness attack was marked in 45 children out of 130 ones. In 85 children reactive arthritis is characterized by waved progressive course.

In 120 patients resistant remission (prolongation of observation – nearly three years) by liquidation of joint syndrome was achieved.

Nowadays two patients have active flows of the disease.

By this means, despite the fact that reactive arthritis is polisystemic progressive disease, contemporary adequate therapy gives possibility to reach the stable remission.

ლიტერატურა:

Л, температура:

№Ивашк, няВэГэяС3л2ановяВэКэ яОЯрыеяр2р, 2ы, яЯвязанныеяЯ, нфекц, ейэКл, нэмедэ№89, яN2, яЯ9ф№э
2эСорокала2яЮэВэяД, м, 2рөваяНэАэяОЯб3дк, йяИэАэя ядрэ яКл, н, кофд, агноЯ, чеЯК, еяЯСек2ыя
реак2, вныэяр2р, 2овязде2ейэГез, ЯядокладовяВяВЯЮюзногояЯездаяревма2ологовэМ, нЯК, я№9Ляя№№ф
№2э

3. Aho K., ahvonen P., Sievers K. _ Akta Rheum Seand. 1969, v. 15, p. 232-253.

ავადობა პურის წარმოების მუშათა შორის

პროფ. გ. სააკაძე, ნ. კვერენჩილაძე, მ. ციმაკურიძე

ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ეროვნული მეურნეობის კონკრეტულ საწარმოში მუშათა შრომის პირობების და, შესაბამისად, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება მიიღწევა კომპლექსური გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დანერგვით [2]. ჯანმრთელობის ცალკეული მაჩვენებლის თავისებურებების ფორმირებაზე, შრომის კონკრეტული პირობების გავლენის დასადგენად, ფართოდ გამოიყენება კვლევის კომპლექსური მეთოდები, კერძოდ, ავადობა შრომის დროებითი უუნარობით [3].

პურის წარმოების პროფესიული ფაქტორების მუშათა ორგანიზმზე მოქმედების შედეგად განვითარებული ცვლილებების ხასიათისა და ინტენსიურობის გამოვლენისა და კომპლექსური შეფასების მიზნით, ჩატარდა მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო-სტატისტიკური გამოკვლევა მუშათა დროებითი შრომისუუნარობის 2002-2004 წლების მასალის ანალიზის საფუძველზე.

გამოვლინდა, რომ შესწავლილი წარმოების მუშათა ავადობის საერთო დონე $E_{\Sigma}H_{02K}$, H-ის [4] მიერ მოწოდებული სკალის საფუძველზე, შემთხვევათა რიცხვის მიხედვით, შეფასდება როგორც საშუალოზე დაბალი, ხოლო მოავადე პირთა რიცხვის, შრომისუუნარობის დღეების რიცხვისა და ერთი დაბალი, შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით - როგორც საშუალოზე მაღალი. მართალია, ავადობის ძირითადი მაჩვენებლები მაღალი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატება საკონტროლო ჯგუფის მონაცემებს. კერძოდ, მოავადე პირთა რიცხვი ყოველ 100 მომუშავეზე შეადგენს 50,4 ($P<0,002$), შემთხვევათა რიცხვი - 75,4 ($P<0,005$), ხოლო შრომისუუნარობის დღეთა რაოდენობა - 1032,3 ($P<0,05$).

მიღებული შედეგების შედარებით, 90-იანი წლების დასაწყისში, ანალოგიურ საწარმოებში ჩატარებული გამოკვლევების მონაცემებთან [1], გამოვლინდა ავადობის საერთო დონის მნიშვნელოვანი (1,6-1,9-ჯერ) შემცირება, რაც საზოგადოების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის სპეციფიკური თავისებურებებით აიხსნება, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობა.

ავადობის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნება ორცხობილას საამქროში, სადაც ყოველ 100 მომუშავეზე რეგისტრირდება 130,7 შემთხვევა და 1524,4 შრომისუუნარობის დღე. მნიშვნელოვანია ავადობის დონე, აგრეთვე, ძირითად საამქროშიც, სადაც აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენს 77,5 შემთხვევას და 1150,4 დღეს. ამ დონეს გარკვეულად ჩამორჩება ქართული პურის საამქრო. აღსანიშნავია, რომ 3 წლის მონაცემებით, ავადობის ყველაზე დაბალი დონე გამოვლინდა წარმოების ადმინისტრაციაში დასაქმებულთა შორის (10,8 შემთხვევა და 208,4 შრომისუუნარობის დღე).

მთელ წარმოებაში ავადობის დონე ქალთა შორის უფრო მაღალია როგორც შემთხვევათა რიცხვის (96,7), ისე შრომისუუნარობის დღეების მიხედვით (1235,2). მამაკაცთა კონტინგენტს შორის ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 50,5 და 602,2. განსაკუთრებით მაღალია ავადობის დონე ორცხობილის საამქროში მომუშავე ქალთა შორის (140,2 შემთხვევა და 1653,6 შრომისუუნარობის დღე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების ადმინისტრაციის

მომუშავეთა ავადობის ინტენსიურ მაჩვენებლებში ამგვარი მკვეთრი სქესობრივი დიფერენცია არ აღინიშნება.

ავადობის ინტენსიურობა ყოველ 100 მომუშავეზე ყველაზე დაბალია 1-5 წლის სტაჟის ჯგუფში. მუშაობის სტაჟის მატებასთან ერთად, აღინიშნება ავადობის საერთო დონის ზრდა, რომელიც მაქსიმუმს 11-15 წლამდე სტაჟის მქონე პირებში აღწევს (იმატებს 1,8-ჯერ). რაც შეეხება ავადობის ანალიზს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ მკვეთრად გამოხატული კორელაცია ასაკის მატებასა და ავადობის დონის ცვლილებებს შორის, გამოხატული არ არის და ტალღისებრი ცვლილებით ხასიათდება.

წარმოების მომუშავე კონტინგენტში ყველაზე მეტად გავრცელებულია ე.წ. მეტეოროპული დაავადებები, როგორცაა გრიპი და მწვავე რესპირატორული დაავადება, ანგინა, ბრონქიტი, ფარინგიტი, ტრაქეიტი, გაგა-წელის მწვავე რადიკულიტი, ნევრიტი, აგრეთვე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომელთა ხვედრითი წილი ავადობის სტრუქტურაში შეადგენს 53,5%-ს შემთხვევათა რიცხვის მიხედვით და 41,7%-ს – შრომისუნარობის დღეთა მიხედვით. ამ დაავადებების გარდა, მნიშვნელოვნადაა მომატებული ღვიძლის, სანაღვლე გზებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებების რაოდენობა. ძირითადი და საკონტროლო ჯგუფის ავადობის სტრუქტურა შემთხვევათა რიცხვის მონაცემთა მიხედვით, სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან - $X^2=16,92, 22,63$ ($X_{20,05}=15,23$).

რაც შეეხება პურის წარმოების მუშათა ფაქტიურად და განმეორებით მოავადე პირთა მაჩვენებლებს, უნდა აღინიშნოს, რომ საშუალოდ 3 წლის მონაცემებით მოავადე პირთა რიცხვი წარმოების მუშათა საერთო რიცხვის 50,4%-ს შეადგენს, რაც 5,7-ჯერ აღემატება საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელს. მოავადე ქალთა ხვედრითი წონა (54,8%)

მნიშვნელოვნად მაღალია მოავადე მამაკაცთა ხვედრითი წონასთან (38,7%) შედარებით. განმეორებით მოავადე პირთა შორისაც ქალთა ავადობის მაჩვენებლები აღემატება მამაკაცთა კონტინგენტის ჯერადობას.

ამრიგად, ავადობის მასალის ანალიზით, აშკარად იკვეთება საწარმო-პროფესიულ ფაქტორთა გარკვეული როლი მათ ფორმირებაში.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შემუშავდა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსი.

Я

ЗаболелаемоЯгь рабоЧ, э элбопекарного про, зводЯгва

**Про- э ВэПэ Саакадзе, НэРэ КверенЧэ, ладзе,
МэПэ Ц, макур, дзе**

НИИ мед, ц, ны труда , эколог, , , мэНэИэ Маэв, ладзе

ИЗЗчененыЯЯтов, яЯрЗдлая, яЯЯЯоян, еЯдоровьяЯрабоч, эЯлбоСекарногоЯСро, зводЯваЯПроанал, з, рованыЯ ма2ер, алыЯзаболеваемоЯ, яЯвременнойЯЗра2ойЯрЗдоЯСоЯбноЯ, яЯяСер, одЯ2000ф2004ЯггЯОбщ, йЯзровенья заболелаемоЯ, яказалЯяяевыЯок, м, яо2ляяяЯновнойЯрЗССе, яоняЯЯяеяЯб, 0ф7, 0ЯразаяСревышяе2я

ჩატარებულია სამუშაოები პურის წარმოების მუშათა შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ [1].

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კომპლექსური გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავების მიზნით, საქართველოს კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, შევისწავლეთ საქართველოს პურის წარმოების მუშათა შრომის პირობების შესაძლო გავლენა ჯანმრთელობის მდგომარეობის ფორმირებაზე. წარმოების პირობებში გამოკვლეული იყო თბილისის პურის 3 საწარმოს 300 მუშა (240 – ძირითადი და 60 – საკონტროლო ჯგუფი).

პრაქტიკულად ჯანმრთელი აღმოჩნდა წარმოების ძირითადი ჯგუფის მუშათა ნახევარზე მეტი (56,2%), ხოლო საკონტროლო ჯგუფში 1,3-ჯერ მეტი (73,3%).

კლასიკური პროფესიული დაავადება, გამოწვეული მარცვლეულისა და ფქვილის მტვრით, კერძოდ, ალერგოზი, შესწავლილ კონტინგენტში არ გამოვლინდა.

აშკარად გამოიკვეთა დაავადების ორი ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი პროფესიის მუშების საქმიანობასთან და წარმოების ტექნოლოგიური პროცესებით განპირობებულ სამუშაო ოპერაციებთან. ამ დაავადებებს მიეკუთვნება: 1. გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია - 2,3-ჯერ უფრო ხშირია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით; მათ შორის ჰიპერტონიული დაავადება – 4,7-ჯერ უფრო ხშირია; 2. ნერვული სისტემის დაავადებები – ნევრასთენიული სინდრომისა და გავა-წელის რადიკულიტის სახით – 1,2-ჯერ უფრო მეტად.

საულისხმოა, რომ ამ დაავადებათა რიცხვი იზრდება როგორც ასაკის, ისე მუშაობის სტაჟის ზრდის პარალელურად. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება უგულებელყოფა ჩვენ მიერ დადგენილი ფაქტისა, რომ ძირითად ჯგუფში გამოვლენილი სხვა მრავალი დაავადების შემთხვევათა რაოდენობრივი ზრდის მსგავსი კანონზომიერი კავშირი ასაკისა და სამუშაო სტაჟის მატების პარალელურად არ ვლინდება. ეს საწყისი არგუმენტი, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ უნდა ვეძიოთ გარკვეული მიზეზობრივი კავშირი გამოვლენილ გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის პათოლოგიასა და ძირითადი ჯგუფის მუშების შრომის პირობებს შორის.

მეორე არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ შედარებითი ანალიზისას გამოიკვეთა აღნიშნული ორი სისტემის დაავადებების ზრდა ასაკისა და სტაჟის მატების პარალელურად, მაგრამ რიცხობრივი მონაცემების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევაში სტაჟის მატების გავლენა უფრო ჭარბობს ასაკის მატების შედეგად მიღებულ რაოდენობრივ მატებას.

მთავარი არგუმენტი კი ის არის, რომ როგორც ჰიპერტონიული დაავადებებით, ისე ნევრასთენიული სინდრომითა და გავა-წელის რადიკულიტით დაავადებულ პირთა რაოდენობა, უდავოდ, ჭარბობს იმ პროფესიების ადამიანებში, რომელთა შრომის პირობები დაკავშირებულია ისეთ პროფესიულ მავნე ფაქტორებთან, რომელთა მოქმედება აღნიშნული დაავადებების ჩამოყალიბებაში საყოველთაოდან ცნობილი.

სახელდობრ, ჯერ კიდევ 1976 წელს, პირველად საქართველოში, აღწერილი იყო სიმპტომური ჰიპერტონიის ახალი ფორმა მაღალი საწარმოო ტემპერატურის გავლენით [3].

არტერიული ჰიპერტონია პურის წარმოების პროფესიის, უპირატესად, იმ მუშებს გამოუვლინდათ, რომელთა ორგანიზმზე მაღალი ტემპერატურა მოქმედებს – 37 შემთხვევიდან 27 (73%) მეღუმელე იყო, რომელთა ორგანიზმზე, მაღალი ტემპერატურის გარდა, უარყოფით გავლენას ახდენდა ინფრაწითელი გამოსხივება. მათ სამუშაო ზონაში ჰაერის ტემპერატურა **39,80C** აღწევდა (დასაშვები ნორმა – **290C**), განსაკუთრებით ქართული პურის ცხობის პროცესში. სწორედ ამიტომ არის, რომ აღნიშნული 27 მეღუმელედან 12 (45%) ქართული პურის ცხობაზე იყო დაკავებული. მაღალი ტემპერატურის პირობებში, ჭარბი ოფლის გამოყოფის გამო, ორგანიზმში ვითარდება ელექტროლიტური დისბალანსი, ირღვევა თირკმლების პარციალური ფუნქცია და ყალიბდება არტერიული ჰიპერტენზია.

პურის წარმოებაში ანალოგიური შემთხვევები სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი არ არის. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მიღებული შედეგები შემდგომი მიზანმიმართული კვლევის გაგრძელებას საჭიროებს.

შესწავლილი წარმოების სხვა პროფესიების მუშებიც ძირითადი სამუშაოების წარმოებისას იმყოფებიან არახელსაყრელ მიკროკლიმატურ პირობებში, მაგრამ ეს ფაქტორი მათ სამუშაო პროცესში ნაკლები ინტენსიურობით ხასიათდება. ტემპერატურულ ფაქტორთან ერთად, მათ ორგანიზმზე გავლენას ახდენს სხვა მანე პროფესიული ფაქტორები, როგორცაა საწარმოო ხმაური (ძირითადი საამქროს მემანქანე), მძიმე ფიზიკური დატვირთვა და მუშაობის დაძაბული რიტმი (ძირითადი საამქროს ოპერატორი და ქართული პურის საამქროს ცომის გამშლელი). ამ პროფესიების მუშების ფიზიოლოგიური სტატუსის გამოკვლევით (არსებული ჰიგიენური ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე) დადგინდა, რომ მათი შრომა მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება, რაც ხელს უწყობს გამოსატყუი ნევრასთენიული სინდრომისა და ვეგეტატიურ-სისხლძარღვოვანი დისტონიის განვითარებას, რომლის ერთ-ერთი კლინიკური ვარიანტი ჰიპერტონიული ტიპით მიმდინარეობს.

ნერვული სისტემის პათოლოგია კი უპირატესად იმ პროფესიის მუშებში გამოვლინდა, რომელთა შრომა დაკავშირებულია მძიმე ფიზიკურ დატვირთვასთან, სამუშაო ოპერაციების მაღალ ტემპთან და შრომის ერთგვაროვან, მონოტონურ ხასიათთან, რაც ხელს უწყობს ნევრასთენიული სინდრომისა და გავა-წელის რადიკულიტის განვითარებას. დაბოლოს, დასკვნითი არგუმენტი ჩვენი მოსაზრებისა იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი ჯგუფის მუშების ორგანიზმში გამოვლენილი ფუნქციური ძვრები და შრომისუნარობით მიმდინარე ავადობის მაჩვენებლები სავსებით ადასტურებს გულ-სისხლძარღვოვან სისტემისა და ნევროლოგიური პათოლოგიის სიჭარბის კავშირს ამ მუშების პროფესიულ საქმიანობასთან.

ამდენად, სრული საფუძველი არსებობს იმისა, რომ პურის წარმოების ძირითადი პროფესიების მუშებში გამოვლენილი არტერიული ჰიპერტონია, ნევრასთენიული სინდრომი და გავა-წელის რადიკულიტი განვიხილოთ, როგორც ე.წ. პროფესიით განპირობებული დაავადებები.

საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს შესწავლილი პროფესიის მუშებში არტერიული ჰიპერტონია დაავადებას **sui generis**, თუ სიმპტომურ ჰიპერტონიას, სპეციალურ მიზანმიმართულ გამოკვლევას საჭიროებს.

კვლევის ამ ეტაპზე, არტერიული წნევის მონიტორინგის სამედიცინო დოკუმენტაციის გაანალიზებისა და დამატებითი ინსტრუმენტულ-ფუნქციური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, ჩვენ მიერ გამოვლენილი პათოლოგია განვიხილეთ, როგორც პროფესიით განპირობებული ჰიპერტონიული დაავადება.

პროფპათოლოგიური კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა დამატებითი გამაჯანსაღებელი რეკომენდაციებისათვის, როგორცაა შესწავლილი წარმოების მუშებს შორის ვიტამინიზებული მწვანე ჩაის სასმელი რეჟიმის დანერგვა, მძიმე შრომითი ოპერაციების სრული ავტომატიზაცია, შრომისა და დასვენების რაციონალური რეჟიმის დაცვა, საწარმოო პაუზებისა და ვარჯიშების დანერგვა, პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვებისას მიზანდასახული დისპანსერული კონტროლი. აღნიშნული დაავადებების გამოვლენისას საჭიროა ყურადღების გამკაცრება – ე.წ. „პროფპათოლოგიური სიფხიზლე“ და სხვა.

Я

Я

СоЯгоЯн, е здорoвьЯ рaбoЧ, э элeбoпeкaрнoгo прo, звoдЯгвa Грyз, ,

Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я

ამონიუმის გვარჯილის წარმოების მუშათა შრომის პირობები

დოც. დ. ზურაშვილი, მ. ციმაკურიძე, ე. მაისურაძე

6. მახვილადის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

კონკრეტული საწარმოს შრომის პირობების შესწავლა მუშათა ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავების საფუძველია [1], რაც თავის მხრივ, როგორც სამედიცინო, ისე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების [3] გადაწყვეტის საშუალებაა.

ეროვნული მეურნეობის დარგებიდან მეტად მნიშვნელოვანია ქიმიური მრეწველობა, რომელიც ხასიათდება საწარმოო გარემოსა და შრომითი პროცესის ფაქტორების მრავალფეროვნებით [2,4].

ამონიუმის გვარჯილის წარმოება, რომელიც რუსთავის „აზოტის“ შემადგენლობაში ფუნქციონირებს, შრომის მედიცინის თვალსაზრისით, სრულიად შეუსწავლელია. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ამონიუმის გვარჯილის საწარმოს მუშათა შრომის პირობების შესწავლა, რათა გაგვეჩვენა მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საწარმოო ფაქტორების გავლენის ხარისხი, ხასიათი და შეგვემუშავებინა სათანადო გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

ჩატარებული პიგიენური გამოკვლევების საფუძველზე დავადგინეთ, რომ ამონიუმის გვარჯილის წარმოების მუშათა შრომის პირობები ხასიათდება საწარმოო გარემოსა და შრომითი პროცესის არახელსაყრელი ფაქტორების კომპლექსის არსებობით, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მომუშავეთა შრომისუნარიანობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ამონიუმის გვარჯილის მიღების მთელი ტექნოლოგიური ციკლი მიმდინარეობს დახურული სქემით, ზოგიერთი ოპერაცია – ვაკუუმის პირობებში. ამდენად, წარმოების ტექნოლოგიური

გადაწყვეტა ჰიგიენური თვალსაზრისით მისაღებია. ამასთან, აღინიშნება ცალკეული ნაკლოვანება, რაც ხელს უწყობს საწარმოო გარემოსა და შრომითი პროცესის არახელსაყრელი ფაქტორების ფორმირებას, რომელთაგან წამყვანია სამუშაო ზონის ჰაერში წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული ტოქსიკური ნივთიერებების მომატებული შემცველობა. კერძოდ, აზოტმჟავას ორთქლისა და აზოტის ოქსიდების შემცველობა ძირითად სამუშაო ადგილებზე 1,8-2,4-ჯერ აღემატება ზღვ-ს.

ჰაერის ტემპერატურის საშუალო მაჩვენებლები ნორმის დასაშვები სიდიდეების ფარგლებშია, მაგრამ მისი მერყეობის ზედა საზღვარი მნიშვნელოვნად აღემატება დასაშვებ სიდიდეს. იმის გამო, რომ წარმოების ტექნოლოგიური პროცესი არ თხოულობს სითბოს პირველად წყაროებს, საწარმოო სათავსებში ჰაერის ტემპერატურის მაჩვენებლები ძირითადად იმეორებს გარე ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის პარამეტრებს. მისი მცირედით (2-30^oC) მომატებული პარამეტრები, გარე ატმოსფეროსთან შედარებით, აისხნება წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესის შესრულებისას საწარმოო ადგილებიდან სითბოს გენერაციით. აღნიშნული გარემოების გამო, უმრავლეს სამუშაო ადგილზე, ჰაერის ტემპერატურა 32-33^oC-ს აღწევს ჰაერის მოძრაობის დაბალი სიჩქარის ფონზე. შეფარდებითი ტენიანობის სიდიდეები სხვადასხვა სამუშაო ადგილზე მეტ-ნაკლები იდენტურობით ხასიათდება და ძირითადად იმეორებს ამ ტერიტორიისთვის დამახასიათებელ პარამეტრებს. მისი მინიმალური მაჩვენებლები ნორმის ოპტიმალური სიდიდის ქვედა ზღვარზეა ან უმნიშვნელოდ (2%-ით) ნაკლებია მასზე.

ხმაურის დონე ცალკეულ სამუშაო ადგილზე აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეს. კერძოდ, ბგერის განსაკუთრებით მომატებული დონე - 89 დბ რეგისტრირდება ნეიტრალიზაციის განყოფილებაში, რაც 9 დბ -ით აღემატება ზღვ-ს. ასევე მაღალია მისი დონე საბოლოო პროდუქტის ცალკეული შეფუთვის უბანზე - 81 დბ , რაც 1 დბ -ით აღემატება ზღვ-ს. ბგერითი წნევის სიდიდე ხასიათდება შედარებითი მუდმივობით და სპექტრის ყველა დიაპაზონში მეტ-ნაკლებად თანაბარი გადახაზილებით. ნეიტრალიზაციის უბანზე ბგერითი წნევის დონე მომატებულია 3-11 დბ-ით საშუალო და მაღალი სიხშირის დიაპაზონში (125-8000 ჰც); შეფუთვის უბანზე მისი მომატება 1-2დბ-ით რეგისტრირდება დაბალი და საშუალო სიხშირის (125-500 ჰც) დიაპაზონში.

სამუშაო ადგილის ვიბრაცია (ზოგადი) ზღვ-ს 1-5 დბ-ით აღემატება შეფუთვის განყოფილებაში და ტრანსპორტირების უბანზე, ნეიტრალიზაციის უბანზე კი - 1 დბ-ით 31,5 ჰც სიხშირის დიაპაზონში.

წარმოების ყველა ძირითადი პროფესიის მუშას (მტვირთავი, შემფუთველი, მეაპარატე, ოპერატორი) საწარმოო ოპერაციების შესრულება უხდება სხეულის იძულებით მდგომარეობაში (ფეხზე დგომით, დამჯდარი, სხეულის წინ და გვერდებზე გადახრით და სხვ.); ამასთან, შრომითი პროცესი საკმაოდ ინტენსიურია - ფაქტიური მუშაობის ხანგრძლივობა მერყეობს სამუშაო დღის 66,7-89,6% ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსთავის „აზოტის“ ამონიუმის გვარჯილის წარმოების საწარმოო გარემოს ფაქტორების შესწავლის შედეგად გამოვლინდა მრავალი არახელსაყრელი ფაქტორი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მომუშავეთა შრომისუნარიანობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შემუშავდა შესწავლილი წარმოების მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები.

Я
**უЯюв, Я труда рабоЧ, э про, зводЯгва
н, трата аммон, Я**

Доцэ ДЭЗурашв, л, , МЭПЭЦ, макур, дзе, ЭАзМайЯрадзе

ამონიუმის გვარჯილის წარმოების მუშათა აკადრობა

მ. ციმაკურიძე

ნ. მახვილადის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოში ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ამონიუმის გვარჯილის წარმოება. ქიმიურ მრეწველობაში დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს წარმოებაში არსებული შრომის პირობები [2].

ამონიუმის გვარჯილის წარმოებაში არსებული შრომის პირობების მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოქმედების ხასიათის გამოვლენის მიზნით, შევისწავლეთ შრომის დროებითი უუნარობით შეზღუდულ მუშათა ავადობა 2000-2004 წლების მონაცემების მიხედვით. ამ მასალის ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ავადობის ზოგიერთი თავისებურება და გარკვეული კავშირი შრომის პირობებთან.

შევისწავლეთ წარმოების მუშათა ავადობის საერთო დონე, χ^2 -ის [4] მიერ მოწოდებული შკალის საფუძველზე, მოავადე პირთა რაოდენობის, შემთხვევათა რიცხვის, შრომისუუნარობის დღეების რაოდენობის და ერთი შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით შეფასდა როგორც საშუალოზე დაბალი.

მუშათა ავადობის ასეთი დაბალი დონე დამახასიათებელია საზოგადოების განვითარების თანამედროვე პერიოდისათვის: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, სამედიცინო დახმარებისათვის მოსახლეობის მიმართვიანობა მკვეთრად შემცირებულია [1]. ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ წარსულში საქართველოში ქიმიური მრეწველობის საწარმოებისათვის დამახასიათებელი იყო ავადობის გაცილებით მაღალი მაჩვენებელი [3]. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ავადობის დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, ძირითადი ჯგუფის მუშათა ავადობის მახასიათებლები მნიშვნელოვნად (სტატისტიკურად სარწმუნოდ) აღემატება საკონტროლო ჯგუფისას. ძირითად ჯგუფში გაერთიანებულ მუშებში მოავადე პირთა რიცხვი 5,1-ჯერ ($P<0,01$), შემთხვევათა რიცხვი 5,0-ჯერ ($P<0,001$), ხოლო შრომისუუნარობის დღეების რაოდენობა 3,6-ჯერ ($P<0,001$) აღემატება საკონტროლო ჯგუფის ამავე მაჩვენებლებს. ამასთან, საკონტროლო ჯგუფში ერთი შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობა 1,4-ჯერ ჭარბობს ძირითადი ჯგუფის ამავე მახასიათებელს.

ძირითად ჯგუფში, ქალთა ავადობის საერთო დონე შემთხვევათა რიცხვის მიხედვით, 4,0-ჯერ აღემატება საკონტროლო ჯგუფის მონაცემებს, ხოლო მამაკაცთა შორის ეს მაჩვენებელი 5,6-ჯერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. შრომისუუნარობის დღეთა რიცხვი ძირითადი ჯგუფის ქალებისათვის 2,6-ჯერ მაღალია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ხოლო მამაკაცებისათვის - 4,2-ჯერ.

მუშათა ასაკის ზრდის შესაბამისად, ავადობის საერთო დონე გარკვეული ცვლილებებით ხასიათდება. კერძოდ, შემთხვევათა რიცხვის მიხედვით, საერთო ავადობის მაქსიმალური დონე (72,7 შემთხვევა 100 მომუშავეზე) აღინიშნება საწყის ასაკობრივ ჯგუფში (20-29 წწ) და თანდათან მცირდება (58,1 შემთხვევამდე 100 მომუშავეზე) მაქსიმალურ ასაკობრივ ჯგუფში (50 წ და მეტი).

ავადობის საერთო მაჩვენებლის ასეთი დინამიკა ასაკობრივ ჭრილში შეიძლება აიხსნას ე.წ. „პროფესიული შერჩევის“ პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციით, რის შედეგადაც წარმოებაში რჩება შედარებით ჯანმრთელი კონტინგენტი. მეორე მხრივ, დროთა განმავლობაში ამ მოვლენის განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებს საწარმოო შხამების მოქმედებისადმი ადაპტაციაც.

მუშაობის სტაჟის მიხედვით, ავადობის საერთო დონის მაჩვენებელი მცირე სტაჟის (5 წლამდე) მქონე პირებში 48,9 შეადგენდა 100 მომუშავეზე და ეს მაჩვენებელი 2,9-ჯერ გაიზარდა მაღალი სტაჟის (10 წ და მეტი) ჯგუფში. შრომისუუნარობის დღეთა რაოდენობის მიხედვით, ავადობის დონის განხილვისას გამოვლინდა, რომ ეს მაჩვენებელი თანმიმდევრულად იზრდება, თუმცა უფრო მკვეთრად (2,8-ჯერ) – მაღალი სტაჟის (10 წ. და მეტი) ჯგუფში.

წარმოებაში წლის განმავლობაში განმეორებით მოავადე პირთა რაოდენობა ძირითად ჯგუფში 4,4-ჯერ მაღალია საკონტროლოსთან შედარებით.

იმისათვის, რომ გაგვერკვია საწარმო-პროფესიულ ფაქტორთა გავლენა ავადობის საერთო დონის ფორმირებაზე, გაანალიზდა ძირითადი პროფესიების მუშათა ავადობის მაჩვენებლები.

ძირითადი პროფესიების უმეტეს ჯგუფში ავადობის მაჩვენებლები, როგორც შემთხვევათა რიცხვის, ისე შრომისუუნარობის დღეთა რაოდენობის მიხედვით, მნიშვნელოვნად აღემატება წარმოების საშუალო მონაცემებს. კერძოდ, შემთხვევათა რიცხვის მიხედვით, ავადობის ყველაზე მაღალი დონე რეგისტრირდება მტვირთავთა შორის – 91,9 შემთხვევა, რაც 1,4-ჯერ მაღალია წარმოების საშუალო მონაცემებზე და 7,2-ჯერ მეტი – საკონტროლოსთან შედარებით. შემთხვევათა რიცხვის დონე მაღალია, აგრეთვე, მეაპარატეებს, ელმონტიორებს, ზეინკლებს შორის – 72,2, 71,9 და 69,4 შესაბამისად.

შრომისუუნარობის დღეთა რაოდენობის მიხედვით, ავადობის (1,4-ჯერ მეტი წარმოების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით) მაღალი დონე აღინიშნება ელმონტიორებს შორის – 959,4 დღე, რაც 5,1-ჯერ მეტია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია მტვირთავებს შორის – 932,4 შრომისუუნარობის დღე, აგრეთვე, ზეინკლებს შორის – 911,1 შრომისუუნარობის დღე (100 მომუშავეზე გადაანგარიშებით).

ცალკეული ნოზოლოგიური ფორმითა და დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით ავადობის მასალის ანალიზისას გამოვლინდა, რომ მუშათა ავადობის დონის ფორმირებაში წამყვანია სასუნთქი, ძვალ-კუნთოვანი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, საშარდე სისტემების, საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებები. ჩამოთვლილი დაავადებების ხვედრითი წილი ავადობის საერთო დონის ფორმირებაში მნიშვნელოვანია – იგი ძირითად ჯგუფში შეადგენს შემთხვევათა რიცხვის 77,7%-ს და შრომისუუნარობის დღეთა 76,0%-ს. ჩამოთვლილ დაავადებათა სიხშირე (100 მომუშავეზე) მნიშვნელოვნად აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს საკონტროლო ჯგუფში. ძირითადი და საკონტროლო ჯგუფების ავადობის სტრუქტურა შემთხვევათა რიცხვის მონაცემთა მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან ($X^2=20,34,30,17$).

ამრიგად, ავადობის მასალის ანალიზით აშკარად იკვეთება საწარმო-პროფესიულ ფაქტორთა გარკვეული როლი მათ ფორმირებაში.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შემუშავდა გამაჯანსაღებელ დონისძიებათა კომპლექსი.

**заболеваемоЯь рабоЧ, э
про, зводЯгва н, трата аммон, Я**

Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я
Я

პურის წარმოების მუშათა შრომის პირობები

6. კვერენხილაძე

6. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოს ეროვნული მეურნეობის დარგებს შორის ფართოდაა განვითარებული კვების მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი – პურის წარმოება. პურ-ფუნთუშეულის საჭირო რაოდენობის საწარმოებლად, პურის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის მაღალი დონის პირობებშიც კი, მთლიანად კვების მრეწველობაში, დაკავებულია მომუშავეთა არანაკლებ 10-12% [2].

პურის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის ხარისხი და შრომის ჰიგიენური პირობები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცალკეული წარმოების სიმძლავრესა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური აღჭურვის დონეზე, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს წარმოებული პროდუქციის ხარისხს, მუშათა შრომისუნარიანობის დონესა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ხასიათს [3].

წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ცვლილებებთან, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის დონესთან, ასევე მაღალმწარმოებლური საწარმოო დანადგარების პრაქტიკაში გამოყენებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოების შეცვლილი შრომის პირობების ფორმირება, რაც სათანადო ჰიგიენურ შეფასებას მოითხოვს. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ქართული პურის წარმოების სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიური პროცესიც, რომელიც, ჰიგიენური თვალსაზრისით, საერთოდ არაა შესწავლილი. აღნიშნული საკითხების კვლევა, ეფექტური კომპლექსური გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავების მიზნით, მეტად აქტუალურია.

საქართველოს პურის წარმოების ობიექტების მუშათა შრომის პირობების რაციონალიზაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავების მიზნით, ჩატარდა შესაბამისი კომპლექსური საწარმოო გამოკვლევები თბილისის პურის 3 საწარმოს ბაზაზე.

პურის წარმოების ტექნოლოგიური სქემა ძირითადად სამი საამქროთია წარმოდგენილი: ძირითადი, ორცხობილასი და ქართული პურის. წარმოების ძირითადი პროფესიებია: ფქვილის გამცრელი და შემრევი, ცომის მზელავი და დამჭრელი, მცხობელი (მელუმეღე), ფუნთუშის დამჭრელი, დამწყობი და შემფუთავი.

ჩატარებული საწარმოო გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ შესწავლილი წარმოების მუშათა შრომის პირობები ხასიათდება პროფესიულ ფაქტორთა სპექტრით (მაღალი ტემპერატურა და ინფრაწითელი გამოსხივება, მტვერი, ხმაური, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა და სხვ.).

კომპლექსური ქრონომეტრაჟული, ერგონომიკული და პროფესიაგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ წარმოების ძირითადი პროფესიების მუშათა შრომითი პროცესისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა საწარმოო ოპერაციის შესრულება, რომლის დროსაც მუშათა ორგანიზმზე მოქმედებს საწარმოო გარემოსა და შრომის ორგანიზაციის ფაქტორთა რთული კომპლექსი. შრომითი პროცესის დამახასიათებელი ფაქტორია მუშაობის მაღალი სიმკვრივე, რომელიც საშუალოდ 84,1%-ს შეადგენს. შრომითი პროცესის შესრულება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფიზიკურ დაძაბვასთან. უმეტეს პროფესიებში მუშაობა სრულდება სხეულის იძულებით მდგომარეობაში – მაგიდასთან, ფეხზე მდგომი, ოდნავ მოხრილი, კიდურების ერთფეროვანი მონოტონური მოძრაობით. წარმოების პროფესიულ ფაქტორთა სპექტრში წამყვანია სითბური დატვირთვა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში (მშრალი სუბტროპიკული კლიმატი) ინტენსიურ ხასიათს ატარებს. საწარმოო სათავსების მიკროკლიმატის ფორმირებაზე უპირატეს გავლენას ახდენს შიდა საწარმოო პირობები, კერძოდ, სითბოს წყაროების სიმჭიდროვე და გამოყენების რეჟიმი.

შესწავლილ წარმოებაში ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად აღემატება დასაშვებ პარამეტრებს. კერძოდ, ქართული პურის მეღუმელის სამუშაო ადგილზე, წლის თბილ პერიოდში, მისი სიდიდე 38,80C-მდე აღწევს, ხოლო წლის ცივ პერიოდში – 29,60C-მდე, რაც აღემატება საქართველოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული დოკუმენტით დადგენილ მაქსიმალურ (29,00C) სიდიდეს [1]. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა და მოძრაობის სიჩქარე ძირითადად დასაშვები ნორმის ფარგლებშია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორგანიზმის ინტენსიური სითბური დასხივება მეღუმელებს შორის, რომელიც ძირითადად ქალებითაა წარმოდგენილი. ამ დროს ხდება მუცლისა და მცირე მენჯის მიდამოების დასხივება. ეს მდგომარეობა მნიშვნელოვანი ჰიგიენური მომენტია ქალთა ჯანმრთელობის (განსაკუთრებით, რეპროდუქციული) ფორმირების თვალსაზრისით. თუმცა, თავისი დიდი სამედიცინო-სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკითხი სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

არახელსაყრელი (ცხელი) მიკროკლიმატის ფორმირების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია პურის საცხობი ღუმელების ჰიგიენური თვალსაზრისით არარაციონალური კონსტრუქცია და თბოიზოლაცია.

ზოგიერთი ტექნოლოგიური ოპერაციის შესრულება (ძირითადად, წარმოების საწყის ეტაპზე) დაკავშირებულია სამუშაო ზონის ჰაერში ალერგიულ-ფიბროგენული მოქმედების მარცვლეულის ფქვილის მტვრის გამოყოფასთან. მისი კონცენტრაცია დასაშვებს საშუალოდ 2,5-5,5-ჯერ აღემატება ფქვილის გამცრელთან და შემრევთან, საფუარის მომრევთან, ცომის მზელავთან და დამჭრელთან შედარებით.

საწარმოო აღჭურვილობის მუშაობის შედეგად გენერირებული ფართო სპექტრის (ძირითადად, მაღალი სიხშირის) ხმაურის დონე განსაკუთრებით მომატებულია ცომსაზველ აგრეგატთან (5-20 დბ-ით, საშუალოდ - 18 დბ-ით).

პურის წარმოებაში შესასრულებელი საწარმოო ოპერაციების ხასიათი მოითხოვს განათების გარკვეული რეჟიმის შექმნას. მხედველობითი სამუშაოს ხასიათის მიხედვით, პურის წარმოების ძირითადი პროფესიები მიეკუთვნება IV-V კატეგორიის სამუშაოებს. წარმოების სათავსებში არსებული განათების დონე არ შეესაბამება ჰიგიენურ ნორმებს. ბუნებრივი განათება ნორმის მოთხოვნებს მხოლოდ 54,9%-ით აკმაყოფილებს, ხოლო ხელოვნური განათება – 60,9%-ით. სამუშაო ზედაპირების განათების ასეთი დაბალი დონე განპირობებულია როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ისე დაგეგმარებითი და საექსპლუატაციო მიზეზებით.

ამრიგად, პურის წარმოების მუშათა შრომის პირობები ხასიათდება საწარმო-პროფესიულ ფაქტორთა რთული კომპლექსის მოქმედებით ორგანიზმზე, რომელთაგან თითოეული გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ორგანიზმს, რაც განაპირობებს ჯანმრთელობის მდგომარეობის თავისებურებების ფორმირებას.

ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევები საფუძვლად დაედო პურის წარმოების მუშათა შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებას.

Я

Я

**УЯов, Я труда рабоЧ, э
элебопекарного про, зводЯва**

НЭРэ КверенЧэ, ладзе

НИИ мед, ц, ны труда , эколог, , , мЭИЭ Маэв, ладзе

я

К%мСлекЯным, я, г, ен%ф, з, %н%а, чеЯк, м, я, ЯЯед%в=н, ям, яЗЯ=н%лен%я2%БЯп%б, яЯрЗд=р=б%н, эя
элеб%Сек=рн%а%Ср% зв%аЯВ=р=к2ер, з3ю2Яян=л, ч, емянебл=т%Ср, я2ныэЯСр% зв%аЯВенн%ф

Ср%феЯЯ, %н=льныэЯф=к2%ф%вэя

ТрЗд%в%ияСр%аеЯЯю=р=к2ер, з3е2ЯявыЯк%ияСл%н%Яьюяр=б%ейяЯмены, яЯЯ=вляюшейяЯЯреднемЯ84,1%эя
ВыС%ннен, еярЗд%в%а%Ср%аеЯЯ=Яяз=н%ЯЯвн=ч, 2ельн%ияф, з, чеЯк%ияя=трЗк%ияр=б%н, эя, ян=Яымя
н=э%жден, емя, эя2ел=ЯввынЗжденн%мяС%н%кен, , эя

ВедЗш, м, янебл=т%Ср, я2ным, яф=к2%ф=м, яСр% зв%аЯВенн%ияЯредыявляю2Яян=тр=р=ош, йям, кр%кл, м=2я
(выЯЯк=яяемСер=23р=в%д3э=я, я нфр=кр=Ян%ся, злЗчен, еЧян=л, ч, ея=лгеренн%ф, бр%тенн%иямЗчн%ияСыл, я
вяв%д3эяр=б%ейяв%ны, як%нцен2р=ц, яяк%2%ф%ияяв2,5ф,5яр=з=яСревыш=2яПДК, яСр% зв%аЯВенныйяшЗмя, я
Ср% зв%аЯВенн%сяЯвещен, еяР=р=б%2=ныя%д%ф%б, 2ельныеямер%Ср, я2, яяЯцельюяЗлЗчен, юяЗЯп%б, йя
2рЗд=р=б%н, эя

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

я

ლიტერატურა:

Л, температура:

ჯანსაღი, რაციონალური კვების საკითხებში, განათლების დაბალი დონის მიუხედავად, შემუშავდეს კვების სწორი პოლიტიკა.

სადღეისოდ საქართველოში არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი კვლევა სტუდენტთა კვებითი სტატუსისა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებების დასადგენად, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები მოსახლეობის ორგანიზებული კატეგორიის ის განსაკუთრებული ჯგუფია, რომელთა შრომისა და ცხოვრების სპეციფიკური პირობები საჭიროებს ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებას საკვების კვებით ღირებულებასთან მიმართებაში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა მოთხოვნილების შესწავლა საკვების ენერგეტიკულ ღირებულებასა და რიგ ნუტრიენტულ შემცველობაზე. გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდა 240 სტუდენტი (193 ქალი და 47 ვაჟი). გამოსაკვლევი კონტინგენტის შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. სტუდენტები დაიყვნენ სამ ასაკობრივ ჯგუფად 17-19 წწ. (I-II კურსი), 20-21 წწ. (III-IV კურსი) და 22-25 წწ. (V-VI კურსი). შესწავლილ იქნა სტუდენტთა ფაქტიური კვება და ენერგოხარჯვა (ქრონოგრამების გამოყენებით). საბოლოო შედეგების მეცნიერულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სარწმუნო განსხვავება ასაკობრივ ჯგუფებს შორის ენერგოხარჯვას, საკვებით მიღებულ ენერჯიასა და ძირითად ნუტრიენტებს შორის არ არსებობს, ამიტომ გთავაზობთ საშუალო მონაცემებს, დაჯგუფებულს მხოლოდ სქესობრივი ნიშნით (ცხრილი 1).

შრომისუნარიანი მოსახლეობის პროფესიული და საქმიანობის ნიშნით ღიფერენცირებისას, დადგენილია, რომ ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტები ენერგოხარჯვის მიხედვით, გაერთიანებული არიან I ჯგუფში – გონებრივად მომუშავე პირები. ამ ჯგუფში გაერთიანებული პირების ფიზიკური აქტივობის კოეფიციენტის (ორგანიზმის ენერგოხარჯვის შეფარდება ძირითადი ცვლის სიდიდესთან) მნიშვნელობაა 1,4.

კვლევის შედეგად, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა ენერგოხარჯვის შესწავლით დადგინდა, რომ მათი ფიზიკური აქტივობის კოეფიციენტი (გოგონებისა და ვაჟებისათვის) იყო 1,68 (ცხრილი 1), რის გამოც, გამოკვლეული კონტინგენტის პოპულაცია გაერთიანდა არა I ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ II ჯგუფში. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური დატვირთვის მიხედვით, ამავე ჯგუფს მიაკუთვნებენ მედლებს, სანიტრებს, ზოგიერთი სპეციალობის ექიმს. ამ დასკვნის საფუძველზე, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ნორმები განხილულ იქნა არა I ჯგუფში გაერთიანებული კონტინგენტის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ნორმების გათვალისწინებით, არამედ II პროფესიული ჯგუფისთვის დადგენილი ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების სარეკომენდაციო სიდიდეების შესაბამისად.

გამოკვლეული კონტინგენტის გოგონებში, დადგენილ ნორმებთან შედარებით, კვების გზით მიღებული ენერჯიის მნიშვნელობა ტენდენციურად მიმართულია კლებისკენ. ვაჟებთან მიმართებაში ასეთი ტენდენცია არ აღინიშნება. ამასთან, გოგონებში საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების 33% მოდის ცხიმებზე, რაც ოდნავ აღემატება ნორმას, ხოლო 53% – ნახშირწყლებზე, რაც მკვეთრად დაქვეითებულია ნორმასთან შედარებით. აქედან გამომდინარე, გოგონებში საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულება შემცირებულია ძირითადად ნახშირწყლების ხარჯზე. ცილებზე კი მოდის რაციონის ენერგეტიკული ღირებულების 12-14%. შედეგები მოყვანილია მეორე და მესამე ცხრილებში.

ვაჟების კვებით რაციონში ძირითად საკვებ ნივთიერებებზე ენერგეტიკული ღირებულების გადანაწილება თითქმის შეესაბამება ნორმებს.

ორგანიზმის ინდივიდუური ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დადგენილი ნორმების შესაბამისად, ცილა: ცხიმი : ნახშირწყლები შეფარდება შესაბამისად უნდა იყოს ქალებში: 1: 0,9 : 5,6, ვაჟებში – 1: 0,9 : 5,3. კვლევის შედეგად მივიღეთ, რომ შეფარდება ცილა: ცხიმი : ნახშირწყლები ქალებში არის 1: 1: 3,8, ხოლო ვაჟებში – 1: 0,9: 4,3. შეფარდებიდან ჩანს, რომ რაციონში მკვეთრადაა შემცირებული ნახშირწყლების ფარდობითი წილი უფრო მეტად გოგონებში, ვიდრე ვაჟებში. გოგონებში კვებით რაციონში ნახშირწყლების წილის

შემცირება განპირობებულია რთული ნახშირწყლების (კერძოდ, პური და პურპროდუქტები) მიღების მკვეთრი

ცხრილი 1

სტუდენტთა ძირითადი ცვლა, ენერგოხარჯვა და ფიზიკური აქტივობის კოეფიციენტი (ფ.ა.კ.)

	ენერგოხარჯვა (კკალ)	ძირითადი ცვლა (კკალ)	ფ.ა.კ.
ქალები	2474	1431	1,72
ვაჟები	2985	1870	1,59

ფ.ა.კ.-ის საშუალო მნიშვნელობა მთელი კონტინგენტისთვის 1,68

შეზღუდვით, ხოლო ვაჟებში ნახშირწყლების მაჩვენებლის უმნიშვნელო შემცირება განპირობებულია მარტივი ნახშირწყლების (შაქარი, ტკბილეული) მიღების შეზღუდვით. ამავდროულად, გოგონებში მარტივი ნახშირწყლებით ორგანიზმის დაკმაყოფილების დონე უფრო მაღალია, ვიდრე ვაჟებში.

ენერგოხარჯვის შესწავლამ გამოავლინა კვებითი რაციონის არაბალანსებულობა ენერგეტიკული თვალსაზრისით, რაც აისახა სტუდენტთა მასა-სიმაღლის მაჩვენებლის (BMI) გამოკვლევის შედეგადაც (ცხრილი 4).

შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გოგონათა ის ჯგუფი, რომელთა BMI ნაკლები იყო ნორმალურ მაჩვენებელზე, ანუ საგრძნობი იყო წონის დეფიციტი (გოგონათა 30%), რაოდენობრივად საგრძნობლად აღემატებოდა ჭარბი წონის გოგონათა ჯგუფს.

პარალელურად ვაჟთა კონტინგენტში წონის დეფიციტი არ აღინიშნებოდა.

გოგონებში, წონის დეფიციტის სიხშირე, ვაჟებთან შედარებით, განპირობებულია, ერთი მხრივ, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა მაღალი ფიზიკური აქტივობით, ხოლო მეორე მხრივ, არაბალანსებული, დიეტური ან მარხვის პროცესში მიღებული კვებითი რაციონით, რომელიც ენერგეტიკულად არასრულფასოვანია.

ცხრილი 2

სტუდენტთა კვებითი რაციონის ენერგეტიკული ღირებულება და ნუტრიენტული შემცველობა

			ენერგია (კკალ)	ცილა (გრ)	ცხიმი (გრ)	ნახშირ- წყლები (გრ)
დადგენილი სიდიდეები	II ჯგუფი	ქალები	2270	65	62	363
		ვაჟები	2930	87	80	465
მიღებული შედეგები	II ჯგუფი	ქალები	1932	66,9	70,8	256,7
		ვაჟები	2969	102,6	89	439,4
		m1	±105	±6,6	±5,7	±5,1
		m2	±268	±10	±11,5	±42,35

m1 საშუალო არითმეტიკულის ცდომილება ქალებში
 m2 საშუალო არითმეტიკულის ცდომილება ვაჟებში

ცხრილი 3

რაციონში ცილა-ცხიმი-ნახშირწყალზე მოსული ენერგეტიკული ღირებულება

	ნორმა	ქალები	ვაჟები
ცილა	12%	14%	14%
ცხიმი	25%	33%	27%
ნახშირწყლები	63%	53%	59%

ცხრილი 4

სტუდენტთა გადანაწილება BMI-ის მიხედვით

	გოგონები	ვაჟები	მთელი კონტინგენტი
წონის დეფიციტი	30%	0	21%
ნორმა	57%	81%	64%
I ხარისხის სიმსუქნე	10%	6%	9%
II ხარისხის სიმსუქნე	3%	13%	6%
III ხარისხის სიმსუქნე	0	0	0

Я
 Я
 Я

некоторые Г, г, ен, ЧеЖ, е нормы рац, онального п, тан, Я Ягудентов

доцэ Кэ Дад, ан, , Про- э Аэ П, рцэалава,
 кандэмедзнаук Нэ Арабул, , кандэ медэ наук Иэ Бера, Я,
 кандэ медэ наук Кэ Берадзе, Тэ ХуЧуа, Бэ Он, ан,

НИИ Ян, тар, , , г, г, ены, мэ ГэНатадзе,
 Тб, л, ЯЖкый гоЯударЯвенный ун, верЯ, тет, мэ Иэ Джаваэ, шв, л,

я
 ДляяС%р%ен, яяр=ц, %н=льн%т%С, 2=н, яя ззчен=С%р%ен%р%н, зм=н240яр2ден2%вямед, ц, нЯЖ%т%
 ф=к3ль2е2=вяэнерг, , я, яС, щевыэвещеЯв=эУЯ=н%в%лен=не%ბ%მ, მ%რ%ე%ს%მ=ვ%ენ, яяС%რ%ენ%რ%ეი
 Я3ден2%вяэнерг, , я, яС, щевыэвещеЯв=эЯИ, з, %т%т, чеЯЖ, м, ян%р%м=მ, яС, 2=н, я, яр=პ=ბ=ნным, ядля
 ვ2%რ%ეიარ3Ссыავრ%მ%ტ%რ3დ%რ%ენ%ტ%ნ=ქ=ენ, яя
 И2%ტ%ვყეი=ნныяС%რ%ენ, чеЯЖ%მ3яЯ%მ=ვ3არ=ц, %н%ვ%С, 2=н, яяЯ3ден2%вяС%კ=ჟ, , я2%არ=ц, %ნ%Я3ден2%вя
 ჯენЯЖ%ტ%ს%მ=დეფ, ც, 2ენაС%ვგლევ%დნ%მ3яЯ%მ=ვ3არ%ტ%ენნ%ვ=ი%ნე2არლებ%ბ3ლ%ნныე, здел, იЧяVბ0%
 დე%იეკამ=ЯИ=დელ=ქ=მ=ე2არ=დე, დე=льн%ი, я3я%ი%я%მ=ЯИ=დელ=ვ=ვ=ელ, чен=ან=ნ%ი%
 я

Я
Я
Я
Я

Some Hygienic Requirements of Rational Feeding of Students

**A. Pirtskhalava, K. Dadiani, N. Arabuli, I. Beraia,
T. Khuchua, B. Oniani, K. Beradze**

Requirements of organism of 240 students of medical department for energy and food substances have been studied for construction of rational feeding. The data on definition of requirements for energy showed the necessity of correlation between requirements of students for energy and food substances and physiologic standards of feeding devised for the second group of adult, able-bodied population.

Concluding data on organic formulation of ration of feeding showed that ration of female students is characterized by lack of carbohydrate (especially at the expense of roots and buns). Body mass of nearly 30% of girls is less than ideal; in 10% of girls body mass is increased by 10%.

სტუდენტთა საკვები პროდუქტის ხარისხის ზოგიერთი მაჩვენებლის შეფასება

**პროფ. ა. ფირცხალავა, დოც. ქ. დადიანი,
მედ.მეცნ.კანდ. ნ. არაბული, მედ.მეცნ.კანდ. ი. ბერაია,
ნ. ფილია, მედ.მეცნ.კანდ. ქ. ბერიძე, თ. ხუჭუა, ბ. ონიანი**

**გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

მოსახლეობის თითოეული ჯგუფისათვის რაციონალური კვების შემუშავება ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. სანიტარიულ-ჰიგიენურ და სამედიცინო რეკომენდაციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის „ჰიგიენური“ ქცევის განსაზღვრაში, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული ახალგაზრდა თაობების, კერძოდ, სტუდენტების ჯანსაღი ცხოვრების წესზე.

მოსახლეობის კვებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის შეფასება ეფუძნება ორგანიზმის კვებითი სტატუსის შესწავლის მახვენებლებს. კვების ხარისხის დასადგენად, პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება საკვები რაციონის ბალანსებულობა მიკროელემენტებითა და ვიტამინებით, რომლის ადეკვატურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია კაპილარების რეზისტენტობა, შარდში ასკორბინის მჟავას შემცველობა, სისხლის შრატში ზოგიერთი ვიტამინის შემცველობის დონის დადგენა და ვიტამინების უკმარისობის კლინიკური ნიშნების გამოვლენა.

კაპილარების რეზისტენტობის სინჯი წარმოადგენს საკვების სრულფასოვნების ირიბ მახასიათებელს, რომელიც მიუთითებს საკვებ რაციონში ასკორბინის მჟავასა და ბიოფლავინოიდების (ვიტამინი C) ნაკლებობაზე.

კაპილარების რეზისტენტობის დადგენა განხორციელდა ანგიორეზისტომეტრით. მიღებული შედეგების თანახმად (ცხრილი 1), სტუდენტთა 25%-ს წინა მხრის წინა ზედაპირზე გამოუვლინდა 30-ზე მეტი პეტექია, რაც PP ან C ვიტამინების დეფიციტის ნიშანს წარმოადგენდა.

ცხრილი 1
კაპილარების რეზისტენტობის ცდის შედეგები

	ქალების რაოდენობა	ვაჟების რაოდენობა
5-15 პეტექია (ნორმა)	22	6
16-29 პეტექია	26	6
30 და მეტი პეტექია	10	11

კვების, ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებთან ადეკვატურობის შესაფასებლად, შესწავლილ იქნა ზოგიერთი ბიოქიმიური კრიტერიუმიც, კერძოდ, სისხლში A ვიტამინისა და β-კაროტინის, ასევე შარდში C ვიტამინის შემცველობა (ცხრილი 2, 3, 4).

როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, სტუდენტთა 91%-ს სისხლის შრატში A ვიტამინი აღმოაჩნდა ნორმის ფარგლებში, ხოლო 9%-ს – ჰიპერვიტამინოზი. β-კაროტინთან მიმართებაში გამოკვლეულთა 55%-ს, ნორმასთან შედარებით, აღენიშნებოდა β-კაროტინის დონის დაქვეითება სისხლის შრატში, ხოლო 45%-ს – ჰქონდა ნორმის ფარგლებში.

ორგანიზმის ვიტამინებით დაკმაყოფილების შესწავლისას, აღმოჩნდა, რომ იგი ძირითადად გამოიხატა β-კაროტინით დაკმაყოფილების დეფიციტში. კვების გზით β-კაროტინის მიღება სარწმუნოდ დაქვეითებულია. β-კაროტინი მცენარეული წარმოშობის ყვითელი პიგმენტი, რომელიც ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ დეიდლსა და ნაწლავებში ფერმენტ β-კაროტინ-15, 15 – დიოქსიგენაზას მოქმედებით, გარდაიქმნება რეტინოლად. ამ უკანასკნელის აღდგენით, კი მიიღება A ვიტამინი. A ვიტამინის დეფიციტი ბიოქიმიური მახვენებლებით არ გამოვლენილა. ეს შედეგები ფაქტიური კვების მონაცემების შესატყვისია, კერძოდ, სტუდენტთა კვებითი რაციონი ნაკლები რაოდენობით შეიცავს იმ მცენარეული წარმოშობის პროდუქტებს, რომლებიც წარმოადგენს β-კაროტინის წყაროს.

ცხრილი 2
სისხლის შრატში A ვიტამინის განსაზღვრა

	სტუდენტთა რაოდენობა	>70 მკგ/მლ	ნორმა 30-70 მკგ/მლ	<30 მკგ/მლ
ქალები	47	3 (10%)	24 (90%)	0
ვაჟები	32	1 (6%)	15 (94%)	0
მთელი კონტინგენტი	86	4 (9%)	39 (91%)	0

ცხრილი 3
სისხლის შრატში β-კაროტინის განსაზღვრა

	სტუდენტთა რაოდენობა	>230 მკგ/მლ	ნორმა 80-230 მკგ/მლ	<80 მკგ/მლ
ქალები	30	0	16	14
ვაჟები	10	0	2	8
მთელი კონტინგენტი	40	0	9 (45%)	11 (55%)

ცხრილი 4
შარდში C ვიტამინის გამოყოფის დონე

C ვიტამინი	სტუდენტთა რაოდენობა
>0.8	2 (6%)
0.4-0.79	30 (88%)
<0.39	2 (6%)

შარდში C ვიტამინის გამოყოფის დონის დადგენის შედეგად, ეს ვიტამინი ნორმის ფარგლებში აღმოაჩნდა სტუდენტთა 88 %-ს, 6%-ს – ნორმაზე მეტი, 6%-ს – ნორმაზე ნაკლები.

ორგანიზმის კვებითი სტატუსის შესაფასებლად, გამოყენებულ იქნა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ რეკომენდებული ვიტამინებით დაკმაყოფილების არაადეკვატურობის შესაფასებელი შემდეგი კლინიკური სიმპტომები: სიბნელის მიმართ მხედველობის ადაპტაციის მოშლა, ანგულარული სტომატიტი, ხეილოზი, ცვლილებები ენის, კანისა და ფრჩხილების მხრივ. ამ ნიშნების გამოვლენის სიხშირე შესწავლილ იქნა 114 სტუდენტში. (ცხრილი 5). ტუჩის ნასკდომები გამოუვლინდა 46 სტუდენტს, კანის სიმშრალე – 30-ს, ენის ჰიპერტროფირებული დვრილები–26-ს, ანგულიტი–22-ს, ხოლო სისხლმდენი ღრძილები – 22-ს.

ცხრილი 5

ვიტამინების დეფიციტის კლინიკური ნიშნები

ვიტამინების დეფიციტის კლინიკური ნიშნები	განმაპირობებელი ვიტამინი	სტუდენტთა რაოდენობა
სისხლმდენი ღრძილები	C, P	22 (9%)
კანის სიმშრალე	A	30 (12%)
ანგულიტი	B ₂ , B ₆	22 (9%)
ტუჩის ნასკდომები	B ₂ , B ₆ , PP	46 (19%)
ენის ჰიპერტროფიული დვრილები	B ₂ , B ₆ , PP	26 (11%)

ამასთან, რამდენიმე ვიტამინის დეფიციტით განპირობებული ნიშანი გამოუვლინდა სტუდენტთა 8%-ს.

აღსანიშნავია, რომ ბიოქიმიური გამოკვლევების გარდა, ვიტამინების დეფიციტის კლინიკური ნიშნების შესწავლამ, საშუალება მოგვცა სტუდენტთა კონტინგენტში გამოვვევლინა ზოგიერთი ვიტამინით (B₂, B₆, PP, C, P) ორგანიზმის დაკმაყოფილების დაბალი მაჩვენებელიც.

მონაცემების საერთო ანალიზი ნათლად მეტყველებს სტუდენტთა კვების რაციონის არაბალანსებულ ხასიათზე ზოგიერთი ვიტამინის მხრივ. ეს ფაქტი მეტად საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ კვებითი უკმარისობით გამოწვეულ დაავადებებს თან ახლავს ორგანიზმის ბიოქიმიური კონსტანტების მდგრადი ცვლილებები. ვიტამინების დეფიციტისადმი მგრძობელობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო ახალგაზრდაა ორგანიზმი. ყოველივე ეს საჭიროებს სტუდენტთა ორიენტაციის გაზრდას რაციონალური კვების შესახებ და სასწავლო პროგრამებში კვების ჰიგიენის საკითხებისადმი უფრო მეტი საათების დათმობას.

я
я

Оценка некоторых показателей качества питания и пищевых продуктов Ягудентов

Про- э Аэ П, рцэалава, кандэмедзнаук Кэ Дад, ан, ,
кандэмедзнаук Нэ Арабул, , кандэмедзнаук Иэ Бера, Я,
Нэ П, л, Я, Тэ Хучуа, Бэ Он, ан,

НИИ Ян, тар, , , г, г, ены , мэ ГэНатадзе,
Тб, л, Яж, й гоЯударЯгвенный ун, верЯ тет , мэ Иэ Джаваэ, шв, л,

я
Дляр=р=6%2к, яреж, м=р=ц, %н=льн%г%с, 2=н, яя ззчен=я%еЯсеченн%б%я%р%н, зм=я240я23ден2%я
мед, ц, нЯ%г%ф=кЗль2e2=я, 2=м, н=м, эСя2%йяцельюя ЯС%п%з%б=ныяб, %б, м, чеЯж, еяжр, 2ер, , ядекв=2н%Б, я
С, 2=н, яя ял, н, чеЯж, еяЯ мС2%мыяв, 2=м, нн%йянед%Б=2%н%Б, эПр, в%дя2Яяд=нныяя%б%Б%ян, , я
рез, Яден2н%Б, яж=С, лляр%б,яЯдерж=н, явяям%ея=ж%рб, н%б%йяж, Яп%ды,явяжр%б, ярв, 2=м, н%вяАя, яб-
к=р%Б, н=я2=кяеям, кр%Б, мС2%м=2, к=яв, 2=м, нн%йянед%Б=2%н%Б, э

я
я
я
я
я
я

**Estimation of Some Indices
of Alimentary status of Students**

**A. Pirtskhalava, K. Dadiani, N. Arabuli,
I. Beraia, N. Pipia, T. Khuchua, B. Oniani**

Providing the organism of 240 students of medical faculty with some vitamins have been studied for construction rational diet. For this purpose biochemical criteria of adequate feeding and clinical symptoms of vitamin deficiency were used. In the given work concluding data on capillary resistance, content of ascorbic acid in the urine, content of vitamin A and β -carotin in the blood and microsymptoms of vitamin deficiency are presented.

კლინიკური ჰემატოლოგია

ჰემოფილიის დროს თრომბოციტების მორფოფუნქციური მახასიათებლები

მედ.მეცნ.კანდიდატები ც.გელიკაშვილი, ლ.ღლონტი,
მედ.მეცნ.დოქტ. ი.მესტიაშვილი, ბიოლ.მეცნ.კანდ. ე.ზარიძე,
ნ.მამფორია, ხ.რეხვიაშვილი, ბიოლ.მეცნ.კანდ ნ.მახარაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰემატოლოგიისა
და ტრანსფუზიოლოგიის კათედრა, გრ. მუხაძის
სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ცნობილია, რომ ჰემოფილიისას სისხლდენა განპირობებულია პლაზმური ფაქტორის დეფიციტით, თუმცა პირველადი ჰემოსტაზისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თრომბოციტების ფუნქციურ მდგომარეობასაც [1]. ლიტერატურაში მცირეა მონაცემები ამ საკითხის შესახებ. ზოგი ავტორი აღნიშნავს, რომ ჰემოფილიის დროს თრომბოციტების რაოდენობრივი და ფუნქციური მახვენებლები ნორმალურია [3], ზოგი კი, ფაზაკონტრასტული მეთოდით გამოკვლევისას, მიუთითებს მათ მნიშვნელოვან ცვლილებებზე [4].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ კომპლექსური მეთოდებით შეგვესწავლა თრომბოციტების მორფოფუნქციური მდგომარეობა ჰემოფილიის დროს. კერძოდ, ოპტიკური და ფაზაკონტრასტული მიკროსკოპითა და ციტოქიმიური რეაქციებით, დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით, რეციდივისა და რემისიის დროს.

გამოკვლევები ჩატარებული იყო 34 ავადმყოფზე. ფაზაკონტრასტული მიკროსკოპით შესწავლილ იქნა თრომბოციტოგრამა და თრომბოციტების ადჰეზიისა და აგრეგაციის უნარი. ციტოქიმიური ინგრედიენტებიდან ვსწავლობდით გლიკოგენსა და მჟავე ფოსფატაზას შემცველობას. გამოკვლეული ავადმყოფებიდან ჰემოფილიის მძიმე ფორმით დაავადებული იყო 22 პაციენტი, საშუალო ფორმით – 9, მსუბუქი ფორმით – 3. როგორც ჰემოფილიის მძიმე, ისე საშუალო ფორმით დაავადებული პაციენტები დავყავით ორ-ორ ქვეჯგუფად: I ქვეჯგუფში გაერთიანდნენ ავადმყოფები, რომელთაც უახლოეს დღეებში აღენიშნებოდათ ჰემორაგიული მოვლენები, II ქვეჯგუფში კი ავადმყოფები, რომელთაც გამოკვლევამდე, უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში, ჰემორაგიები არ ჰქონიათ.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ თრომბოციტების აბსოლუტური რაოდენობა სისხლში, მძიმე და საშუალო ფორმით დაავადებულთა სხვადასხვა ქვეჯგუფში, დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ძირითადად ზომიერად იყო მომატებული.


ფაზაკონტრასტული მიკროსკოპით დადგინდა, რომ მძიმე ფორმით დაავადებულ ავადმყოფებს, რომელთაც უახლოეს დღეებში ჰქონდათ ჰემორაგიული გართულებები (ავადმყოფთა I ქვეჯგუფი), თრომბოციტოგრამაში აღენიშნებოდათ აქტიური თრომბოციტების რაოდენობის მომატება – 90%-95% (ნორმა -75%-87%, $p<0.001$). ეს ფორმები ნორმის მაღალ ზღვარზე ჰქონდა (79%-87%) საშუალო სიმძიმის ავადმყოფთა I ქვეჯგუფსაც (უახლოეს დღეებში ჰემორაგიული გართულებებით), ავადმყოფთა II ქვეჯგუფში კი აქტიური თრომბოციტების რაოდენობა როგორც მძიმე, ისე საშუალო ფორმების დროს დიდად არ განსხვავდებოდა ნორმისაგან (65%-75%), მატულობდა ინტაქტური თრომბოციტების რაოდენობა 17-27% (ნორმა - 2%-10%).

რაც შეეხება თრომბოციტების სპონტანური ადჰეზიის უნარს, მისი მაჩვენებელი ჰემორაგიული გართულებებით მიმდინარე შემთხვევებში ნორმის მაღალ ზღვარზე ან ოდნავ მომატებული იყო როგორც მძიმე, ისე საშუალო ფორმის დროს (75%-81% და 72%-80% შესაბამისად), აგრეგაციის მაჩვენებელი კი ორივე ფორმის დროს მაღალი იყო (78%-85% მძიმე ფორმისას – 78%-82% საშუალო ფორმის დროს, ნორმა - 39%-72%, ორივე შემთხვევაში $p<0,01$).

ჰემორაგიების გარეშე მიმდინარე შემთხვევებში სპონტანური ადჰეზიისა და აგრეგაციის მაჩვენებლები როგორც მძიმე, ისე საშუალო ფორმის დროს იყო ნორმალური (ადჰეზიის ინდექსი – 57%-68%, აგრეგაციის ინდექსი – 40%-52% მძიმე ფორმისა და ადჰეზიის ინდექსი – 57%-64%, აგრეგაციის ინდექსი – 60%-64% საშუალო ფორმის დროს).

ორიენტირებული ფიბრინული ქსელი თრომბოციტების გარშემო, რაც დამახასიათებელია ჯანმრთელ პირთა თრომბოციტებისათვის (სურ.1),


სურათი 1
ორიენტირებული ფიბრინული ქსელი
ჯანმრთელი ადამიანის თრომბოციტების
გარშემო ფაზაკონტრასტულ მიკროსკოპში, პერიფერიული სისხლი.



ჰემოფილიის არც ერთ შემთხვევაში არ აღინიშნებოდა (სურ. 2).

სურათი 2

თრომბოციტების სპონტანური ადჰეზია და აგრეგაცია ჰემორაგიული გართულებებით მიმდინარე ჰემოფილიის დროს ფაზაკონტრასტულ მიკროსკოპში, პერიფერიული სისხლი. თრომბოციტების გარშემო არ არის ორიენტირებული ფიბრინული ქსელი.



ჰემოფილიით დაავადებულ ავადმყოფთა სისხლის პრეპარატების სინათლის მიკროსკოპით გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ, ჯანმრთელი პირების თრომბოციტებისაგან განსხვავებით, ჰემოფილიით დაავადებულთა თრომბოციტები გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ანიზოციტოზით მიკრო- და მაკროფორმების ხარჯზე, გიგანტური და დეგენერაციული ფორმებიც მცირე რაოდენობით გვხვდება. ეს ცვლილებები აღინიშნება ყველა გამოკვლევულ ჯგუფში იმ განსხვავებით, რომ ჰემორაგიებით მიმდინარე შემთხვევებში ჭარბობს მაკროფორმები.

ლიტერატურის მონაცემებით, თრომბოციტების მაკროფორმები დიდი რაოდენობით გვხვდება სტიმულებული თრომბოციტოპოეზის დროს [2]. საგარაუდოა, რომ ჩვენ შემთხვევებშიც მაკროფორმების სიჭარბე გამოწვეულია თრომბოციტოპოეზის სტიმულაციით, რაც დაკავშირებული უნდა იყოს უახლოეს ჰემორაგიებთან.

მაკროფორმები მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება ავადმყოფთა იმ ქვეჯგუფშიც, სადაც ჰემორაგიული გართულებები, უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში, არ აღინიშნებოდა, მაგრამ ჰემოფილიის მძიმე და საშუალო ფორმით დაავადებულებს ეს გართულებები საერთოდ ხშირად აქვთ, რაც უნდა იწვევდეს თრომბოციტოპოეზის სტიმულაციას. ამ ავადმყოფებში ამასვე მოწმობს თრომბოციტების რაოდენობის მომატებაც.

ყველა ავადმყოფის სისხლის ნაცხში გვხვდებოდა თრომბოციტების გროვები, რაც, თავისთავად, მათ ნორმალურ აგრეგაციის უნარზე მიუთითებს.

რაც შეეხება ციტოქიმიურ მაჩვენებლებს, გლიკოგენზე დადებითი თრომბოციტების რაოდენობა მომატებული იყო ჰემორაგიით მიმდინარე შემთხვევებში როგორც ჰემოფილიის მძიმე, ისე საშუალო ფორმების დროს და შეადგენდა 70.30 1.40 (ნორმა – 53.05 1.23, $p < 0.02$), განსაკუთრებით ინტენსიური იყო რეაქცია თრომბოციტების მაკროფორმებში.

ლიტერატურის მონაცემებით [5], თრომბოციტების აქტიური ფორმების, ადჰეზიისა და აგრეგაციის მაღალი მაჩვენებლების დროს აღინიშნება გლიკოგენზე დადებითი თრომბოციტების რაოდენობის მომატებაც, რაც ჩვენი შემთხვევებითაც ვლინდება.

მჟავე ფოსფატაზაზე დადებითი თრომბოციტების რაოდენობა ყველა ქვეჯგუფში უახლოვდება ნორმას ან ოდნავ დაბალია, სხვადასხვა ჯგუფში რაიმე განსხვავება მჟავე ფოსფატაზას აქტივობის მხრივ არ შეგვიმჩნევია, ამიტომ ისინი გავაერთიანეთ და მოგვყავს საშუალო მაჩვენებელი – 6.29% 0.37 (ნორმა - 8.15% 0.43).

ამრიგად, ჰემოფილიით დაავადებულ ავადმყოფთა თრომბოციტების გამოკვლევამ როგორც სინათლის, ისე ფაზაკონტრასტული მიკროსკოპითა და ციტოქიმიური მეთოდებით შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვევლინა თრომბოციტების გააქტიურება ჰემორაგიული გართულებების დროს, რაც გამოიხატა აქტიური ფორმების, მაკროფორმებისა და

ჰოჯკინის ლიმფომის დროს CD95 ანტიგენის ექსპრესიის პროგნოზული მნიშვნელობა

ი. დათიკაშვილი-დავიდი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრა

საკითხის აქტუალობა: ონკოჰემატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის საქმეში არსებული წარმატებების მიუხედავად, დღემდე ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება ჰემობლასტოზების ქიმიოთერაპიისადმი მგრძობელობის წინასწარი განსაზღვრა, რაც მკურნალობის დიფერენციული ტაქტიკის შემუშავების საშუალებას იძლევა. ცნობილია, რომ უჯრედთა პროგრამული კვლევა, ერთი მხრივ, განსაზღვრავს მრავალ დაავადებათა პათოგენეზს და ამავე დროს მედიკამენტების სამკურნალო ეფექტი სწორედ დარღვეული აპოპტოზის აღდგენაზეა დამყარებული, რაც ხორციელდება როგორც პირდაპირი, ისე ჩ 95 დამოკიდებული ციტოტოქსიკურობის გზით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება CD95/Fas/Apo-1 ანტიგენის ექსპრესიის შეფასებას ონკოჰემატოლოგიურ დაავადებათა მიმდინარეობის პროგნოზირებასა და მკურნალობის ტაქტიკის შემუშავებაში.

კვლევის მიზანი: მიზნად დავისახეთ ერთ-ერთი აპოპტოზური მარკერის – CD95/Fas/Apo-1 პროგნოზული მნიშვნელობის დადგენა ჰოჯკინის ლიმფომის მიმდინარეობასა და ქიმიოთერაპიისადმი მგრძობელობის წინასწარ შეფასებაში.

საკვლევი მასალა და გამოყენებული მეთოდები: პაციენტები 2001-2004 წლებში მკურნალობდნენ სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრის კლინიკაში.

პერიფერიული ლიმფოციტების სპონტანური 24-საათიანი აპოპტოზის განსაზღვრა ხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ჰოჯკინის ლიმფომით დაავადებული 50 ავადმყოფი, რომლებსაც მკურნალობა ჩაუტარდათ ქიმიოთერაპიის სქემების ("BEACOPP", "EPOCH", "OEAP", "ABVD", "CEVD", "LABO", "OPPA", "CEM", "Dexa-BEAM", "DHAP") მიხედვით.

გამოკვლეულთა ასაკი მერყეობდა 15-დან 75 წლამდე.


დაავადების სტადია განისაზღვრებოდა 1971 წელს ქ. ანარბორში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით. ავადმყოფების რისკის ჯგუფებად დაყოფა ხდებოდა „საერთაშორისო პროგნოზულ ფაქტორთა პროექტის“ (International Prognostic Factors Project (IPFP)) შესაბამისად.

საწყის ეტაპზე კლინიკურ-ჰემატოლოგიურ მონაცემებთან ერთად, ყველა პაციენტს, გამდინარე ციტომეტრის ("Becton & Dickinson") გამოყენებით, ჩაუტარდა პერიფერიული ლიმფოციტების CD95/FAS/APO-1 ანტიგენის ექსპრესიის განსაზღვრა ანტი-Fas ფლუორესცინიზოციანანატთან (FITC)-კონიუგირებული თაგვის მონოკლონური ანტისხეულებით (mka) ("Dako").


საერთო გადარჩენადობის გამოთვლა გაწარმოეთ აქტუარიალური მეთოდით (а ерѣзк, нрѣзк №824).

მიღებული შედეგები და მათი განსჯა: Fas ანტიგენის მიხედვით, ავადმყოფთა გადარჩენადობის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ CD95 უარყოფით პაციენტთა

(CD95<25%) საერთო გადარჩენადობა იყო 53%, ხოლო ანტიგენის პოზიტიური ექსპრესიისას (CD95>25%) – 81% (დიაგრამა 1).



IPFP პროგნოზული ჯგუფებისა და APO-1 ანტიგენის ექსპრესიის მიხედვით, ავადმყოფთა საერთო გადარჩენადობის ანალიზით ნათელი გახდა, რომ დაბალი ავთვისებიანობის ჯგუფებში CD95 უარყოფით და დადებით პაციენტთა გადარჩენადობამ შეადგინა 67% და 81%, ხოლო პროგნოზულად არაკეთილსაიმედო ჯგუფში შესაბამისად – 50% და 80% (დიაგრამა 2).



ამრიგად, ჰოჯკინის ლიმფომის მიმდინარეობის განსასაზღვრად შეგვიძლია რეკომენდაცია გავუწიოთ CD95 ანტიგენის რაოდენობრივი შეფასების გამოყენებას როგორც დამოუკიდებელი პროგნოზული ფაქტორის, ისე IPFP დამატებითი კრიტერიუმის სახით.

Прогноз, Чемое значен, е экЯреЯ, ант, гена CD95 у Сац, ентов Яболезню Ходжк, на

Игэ Дат, кашв, л, -Дав, д,

Ка- едра гематолог, , , транЯ уз, олог, , ГоЯдарЯвственной
мед, ц, нЯкой академ, , Груз, ,

я
АС%С%Я, чеЯк, еян2, геныя, гр=02явед3ш3юяр%бьяк=кявЯС=2%генезе, я2=кя, явя%ценкея3вЯВ, 2ельн%Я, яя
ц, 2%Я=2, чеЯк, мяСреСр=2=мяСр, яя Хэ0 ельюяр=б%2ыявялял%бьявявлен, еяв%м%кн%йяк%реляц, , ямежд3я
экЯреЯЯ, ейяCD95/Fas/ьрофн=н2, ген=я, ялечен, емя ХэМе2%д%мяСр%2%н%йяц, 2%ме2р, , яЯсец, ф, чеЯк, м, я
=н2, фCD95ям/ ш, н/ м, ян2, ген=м, яСр%зв%д, л%Яя, змерен, ея24фн=Я%б%т%ЯС%н2=нн%т%ф=С%С%в=я
Сер, фер, чеЯк, эял, мф%д, 2%вя48яб%бьн/ эя Хявяв%бр=Яея2я%б%д%б%75яле2эОбщ=яяв/ ж, в=ем%Яб%ОвЧсCD95ф
нег=2, вн/ эяя25%Ч%к=л=Яяр=вн%йяб3%, яяСр, яС%д%к, 2ельн%йяк%ЯреЯЯ, , яф8%эю р, ян=л, зяОВяя
%2дельн/ эяяПФРяСр%н%Я, чеЯк, эягр3СС=эяк=л%б%я2%вягр3ССеян, зк%т%р, Як=яв%CD95(Ч, яCD95(+Ч
С%агр3СС=эяОВяб/ л=б7%я, я80%, явягр3ССеяв/ Як%т%р, Як=яСр, яCD95(фНОВяр=внял=Яяб0%, я%2яяСр, я
CD95(+Чф8%эСлед%в=2ельн%яСр, я ХяС%в, 2, вн=яяк%ЯреЯЯ, яяCD95ян2, ген=явяляе2Яяб%ф%ш, мя
Ср%н%Я, чеЯк, мяр=к2%ф%мяк=кяЯм%Я%2%я2ельн%я2=кя, явя=ЯЯд, =ц, , яяяПФРякр, 2ер, ям, э
я
я
я
я
я

The prognostic significance of apoptosis-related CD95 antigen expression in patients with Hodgkin's Disease

I. Datikashvili-David

Apoptosis-related proteins might play an important role in pathogenesis and sensibility to the chemotherapeutical drugs in patients with Hodgkin's Disease. In the study the author tried to find out the relation between the expression of CD95/Fas/Apo-1 antigen and clinical outcome of HD patients. 24-hour spontaneous apoptosis of peripheral lymphocytes on flow cytometer using specific monoclonal anti-CD95 mouse antibodies in 48 patients aged 15-75yy have been measured. Fas expression proved to be a significant prognostic factor in predicting overall survival (OS) because in CD95 “-“ (<25%) pts. OS was 53% vs. CD95“+” _ 81%. After grouping pts. by IPFP score in low risk-group in Fas negative and positive cases OS occurred to be 67% and 80%, although in unfavorable risk-group the OS values differed according to the CD95 expression 50% vs. 81%. So it can be concluded that Apo-1 positive expression appears to be predictive of good overall survival as an independent prognostic parameter and in association with IPFP criteria as well.

ლიტერატურა:

Л, температура:

1. Astar Winoto _ “Cell death in the regulation of immune responses~ Current Opinion in Immunology 1997, 9:365-370;
2. Gruszka-Westwood A. M., Hamoudi R. A. et al. _ “p53 abnormalities in splenic lymphoma with villous lymphocytes~ Blood, June 1, 2001; 97(11): 3552 - 3558.
3. P. R.K. Koduru, K. Raju et al. _ “Correlation Between Mutation in P53, p53 Expression, Cytogenetics, Histologic Type, and Survival in Patients With B-Cell Non-Hodgkin's Lymphoma~ Blood, November 15, 1997; 90(10): 4078 - 4091.
4. Sang-Kyun Sohn, Jong-Gwang Kim, Tae-in Park et al. _ “The prognostic significance of apaptosis-raleted proteins in Korean patients with diffuse large D-cell lymphoma~. Annals of Oncology, 2002, Vol.13, Supplement 5 pp-121.

მწვავე ლეიკემიის სხვადასხვა სტადიისას შრატში რკინის მაჩვენებლები და ერთრომორფობრამა

ხ.რეხვიაშვილი, ბიოლ.მეცნ.კანდ ე.ზარიძე,
მედ.მეცნ.დოქტ. ი.მესტიაშვილი, ბიოლ.მეცნ.კანდ. ნ.მახარაძე,
მედ.მეცნ.კანდ. ც.გელიკაშვილი, ბიოლ.მეცნ.კანდ. მ.დოლაბერიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰემოფილიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრა,
გრ. მუხაძის სახელობის პემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მწვავე ლეიკემიის მრავალმხრივი კვლევა გასული საუკუნიდან იღებს სათავეს [1,3]. დედამიწის ეკოლოგიური ფონის გაუარესებისა და დაავადების სიხშირის მატების გამო, განსაკუთრებით აქტუალური ხდება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან [1,6,7]. ჩვენი წინასწარი დაკვირვებით, ჰემოგლობინის დაბალი დონის მიუხედავად, მწვავე ლეიკემიით დაავადებულებში ფერადობის მაჩვენებელი ნორმის ფარგლებშია ან მაღალი, რაც სპეციალურ ლიტერატურაშიც არის აღნიშნული, თუმცა, განსხვავებული მონაცემებიც არსებობს [2,4,5]. თითქმის შეუსწავლელია ერთროციტების მორფოლოგიური მახასიათებლები, ერთროციტული ინდექსები, რკინის ცვლა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა პერიფერიული სისხლის წითელი შტოს მაჩვენებლები მწვავე ლეიკემიის სხვადასხვა სტადიაზე. გამოვიკვლიეთ მწვავე ლეიკემიის სხვადასხვა ვარიანტით დაავადებული 22 პაციენტი, მწვავე მიელობლასტურით – 5, მწვავე მონობლასტურით – 4, მწვავე მიელო-მონობლასტურით – 4, მწვავე ლიმფოიდურით – 4, მწვავე არადიფერენციულ უჯრედოვანით – 2, მწვავე ერთრომიელოზით – 3, დინამიკაში (გაშლილი სტადია და პირველი რემისია). სისხლის საერთო ანალიზის გარდა (აქცენტით ერთროციტების მორფოლოგიაზე), ვსაზღვრავდით შრატში რკინის დონეს, რკინის შებოჭვის საერთო უნარს, თავისუფალი ტრანსფერინის დონეს და ტრანსფერინის რკინით გაჯერების კოეფიციენტს.

როგორც ჩვენმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, მწვავე ლეიკემიის გაშლილ სტადიაზე ოცდარიდან ოც პაციენტს (90%) აღენიშნებოდა ჰემოგლობინის დაბალი დონე 31გ/ლ-110გ/ლ ფარგლებში, ერთროციტების რაოდენობა მერყეობდა 0.67×10^{12} ლ $- 3.7 \times 10^{12}$ ლ ფარგლებში, ფერადობის მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში მერყეობდა ან აღემატებოდა ნორმას 0.85 – 1.1. ამავე პაციენტების ერთრომორფობრამაში აღენიშნებოდა ზომიერი ანიზოციტოზი მიკრო- და ძირითადად მაკროციტების ხარჯზე, უმნიშვნელო პოიკილოციტოზი, ნორმოქრომია ან მიდრეკილება ჰიპერქრომიისაკენ, ცრემლისმაგვარი ერთროციტების სიჭარბე.

პაციენტთა ამავე ჯგუფში შრატის რკინის დონე მაღალი იყო (27.3 მკმოლი/ლ - 43.7 მკმოლი/ლ) ოცდარიდან ოც შემთხვევაში. ასევე ნორმაზე მაღალი იყო ტრანსფერინის რკინით გაჯერების კოეფიციენტი (41% - 69 %). ამავე პაციენტების რკინის შებოჭვის საერთო უნარი ნორმის ფარგლებში მერყეობდა (60.1 მკმოლი/ლ – 70.3 მკმოლი/ლ), ხოლო თავისუფალი ტრანსფერინის დონე ნორმაზე დაბალი იყო (18.8 მკმოლი/ლ – 29.4 მკმოლი/ლ). გაშლილ სტადიაში გამოკვლეული 22 პაციენტიდან გამონაკლისს წარმოადგენდა ორი (10%), რომელთაც ფერადობის მაჩვენებელი ნორმაზე დაბალი ჰქონდათ (0.76 ; 0.78). ამავე დროს ერთრომორფობრამაში აღენიშნებოდათ ზომიერი მიკროციტოზი ჰიპოქრომიისადმი მიდრეკილებით. შრატის რკინის დონე ნორმაზე დაბალი ჰქონდათ (10.7 მკმოლი/ლ და 11.3

მკმოლი/ლ), ასევე ნორმაზე დაბალი იყო ტრანსფერინის რკინით გაჯერების კოეფიციენტი (14 % და 15 %). ამავე პაციენტებს აღენიშნათ რკინის შებოჭვის საერთო უნარის (74.6მკმოლი/ლ და 72.3 მკმოლი/ლ) და თავისუფალი ტრანსფერინის ნორმაზე მაღალი მაჩვენებელი (63.9 მკმოლი/ლ და 61,0 მკმოლი/ლ). ორივე პაციენტს აღენიშნებოდა გაძლიერებული ჰემორაგიები. რაც შეეხება რემისიის სტადიას, ოცდარივე პაციენტს ჰქონდა აშკარა ტენდენცია ჰემატოლოგიური პარამეტრების ნორმალიზებისაკენ:

ჰემოგლობინი 120 გ/ლ– 132 გ/ლ, ერითროციტების რიცხვი 3.8×10^{12} ლ - 4.6×10 ლ, ფერადობის მაჩვენებელი 0.88 – 0.94. ერითრომორფოგრამაში – მხოლოდ უმნიშვნელო ანიზოციტოზი.

შრატში რკინის მაჩვენებლების შესწავლისას გამოვლინდა, აგრეთვე, ტენდენცია ნორმალიზაციისაკენ. შრატის რკინის დონე ნორმაში იყო (14,6მკმოლი/ლ – 25,8 მკმოლი/ლ), ნორმის ფარგლებში მერყეობდა რკინის შებოჭვის საერთო უნარი (50,5მკმოლი/ლ – 70,2მკმოლი/ლ), თავისუფალი ტრანსფერინის დონე (36,4მკმოლი/ლ – 50,3მკმოლი/ლ) და ტრანსფერინით რკინის გაჯერების კოეფიციენტი (21% - 35%).

ამრიგად, მწვავე ლეიკემიის სხვადასხვა ვარიანტით დაავადებული პაციენტების პერიფერიული სისხლის წითელი შტოს გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გაშლილ სტადიაზე დამახასიათებელია ერითრომორფოგრამასა და რკინის ცვლაში დარღვევა, რაც აშკარა ტენდენციას ავლენს პირველი რემისიის სტადიაზე ნორმალიზებისაკენ.

я
Показател, ЯворотоЧного железа
, эр, тромор- ограмма на разл, Чныэ
Ягад, Яэ оЯрого лейкоза

ХэРеэв, ашв, л, , кандэб, олэнаук ЕЗАр, дзе,
доктэмедзнаук ИэМеЯг, ашв, л, ,
кандэб, олэнаук НэМаэарадзе,
кандэмедзнаук ЦэГел, кашв, л, ,
кандэб, олэнаук МэДолабер, дзе

Ка- едра гематолог, , , транЯ уз, олог, , ТГУ , мэ ИэДжаваэ, шв, л, ,
НИИ гематолог, , , транЯ уз, олог, , , мэ ГэМуэадзе

я
ОбЯед%н%22яС=ц, ен2=я%2р%ийаейкем, иявяр=зверн32%ийа=д, , я, яСр, яСерв%ийарем, ЯЯ , эИЗ3ч=л, Яья
С%к=з=ел, яЯ/ в%р%2%н%г%желез=я, яэр, 2р%м%ф%р=мм=эи
Вя0%яЯп3ч=евяЯ=н%влн%С%в/ шен, еяр%вняяЯ/ в%р%2%н%г%желез=яС%н, жен, ея%щейя
желез%Вяз/ в=ошейяЯС%н%2, яЯ/ в%р%2к, яр%в, ,яС%н, жен, еяр%вняяЯ%н%н%н%2р=нЯфер, н=я, я
С%в/ шен, ея%ф%ф, ц, ен2=ян=Я/ шен, еяр=нЯфер, н=желез%мэяВэр, 2р%м%ф%р=ммея%2меч=лЯяя
Змеренн/ ия=н, з%ц, 2%в=яНе2ям=кр%ц, 2%в,я%р%м%р%м, яя, л, яЯкл%н%2%ьяяг, Серэр%м, , ,ян=л, ч, ея
Ялез%в, дн/ эяр, 2р%ц, 2%вэю р, яСерв%ийарем, ЯЯ , я%нЯ=2, р%в=н=явн=я2енденц, яяян%р%м=л, з=ц, , я
, з3ченн/ эяС=р=ме2р%вэя

я
я
я
я
я
я
я
я
я
я

SERUM IRON AND ERYTROMORPHOGRAMME IN DIFFERENT STAGES OF ACUTE LEUKEMIA

**Kh.Rekhviashvili, E.Zaridze, I.Mestiashvili,
N.Makharadze, Ts.Gelikashvili, M.Dolaberidze**

22 patients on different stages of acute leukemia have been investigated. Serum iron and erytromorphogramme were studied.

Increased levels of serum iron, decreased total ironbinding capacity, decreased transferring level and increased transferring iron saturation were revealed. Anisocytosis due macrocytes, normo- or hyperchromie, numerous tear drops were mentioned in erytromorphogramme of patients in developed stage of the disease.

In the presence of first remission marked tendention to normalization of parameters studies was revealed.

literatura: ლიტერატურა:

1. შველაშვილი მ., ზედგინიძე ი., თანააგუ. – ლეიკოზები და ავთვისებიანი ლიმფომები, თბილისი, 1996 წ. გვ. 14-75.
2. ანერჩიანი შ. ა., კლინიკური, ნეკროპათიკური, რენტგენული, ციტოლოგიური, იმუნოლოგიური, ბიოქიმიური და მკურნალობის მეთოდები, თბილისი, 1985 წ. გვ. 544-557
3. ბრძანაძე ვ. ა., რენტგენული, ციტოლოგიური, იმუნოლოგიური, ბიოქიმიური და მკურნალობის მეთოდები, თბილისი, 2002 წ. გვ. 175-176
4. Dick J.E. _ Assays for human leukemic stem cells. Hematology. 1999:112-119[RTF bookmark start: R168][RTF bookmark end: R168].
5. Griffin J, Löwenberg B. _ Clonogenic cells in acute myeloblastic leukemia. Blood. 1986;68:1185–1195[RTF bookmark start: R166][RTF bookmark end: R166] [Medlaine].
6. Takahashi; Hoshuyama, Tsutomu; Pan Guowei; Feng Yiping _ Geographical correlation between ambient UVB level and mortality risk of leukemia in Japan ; VOL. 92 ; ISSUE: 2 ; PII: S0013935103000343; Copyright (c) 2003 Elsevier Science B.V., Amsterdam, The Netherlands .
7. Josie Golden _ New evidence of radiation risk in childhood leukaemia. 7-Sep-2004.

1. შევისწავლოთ ეტიოლოგიურად მნიშვნელოვანი ბაქტერიების მგრძობელობა-რეზისტენტობა ინფექციური ურეთრაპროსტატიტების დროს.
2. შევიმუშავოთ ანტიბიოტიკების მგრძობელობაზე ბაქტერიული დათესვის მკურნალობის ორიგინალური მეთოდები.

კვლევის მასალა და მეთოდები. პროსტატის სეკრეტის აღება ხდებოდა ჯირკვლის მასაჟის შემდეგ. სეკრეტის მორფოლოგიური და ბაქტერიოსკოპიული შესწავლისათვის გამოიყენებოდა როგორც ნატიური პრეპარატები, ისე გრამის წესით შეღებილი ნაცხები. აერობული მიკროორგანიზმების გამოყოფა და იდენტიფიკაცია წარმოებდა ხოტინგერის ბულიონზე დამზადებული მყარი და თხიერი საკვები ნიადაგებით.

სტაფილოკოკების სახეობის განსაზღვრისათვის გამოიყენებოდა ტესტების კომპლექსი: პლაზმაკოაგულაციური, ლეციტინოზური და ჰემოლიზური აქტივობა. სტრეპტოკოკული იდენტიფიკაცია წარმოებდა ჰემოლიზური ტესტით.

ნეისერების იდენტიფიკაცია ხდებოდა შემდეგი ტესტებით: რეაქცია კატალაზაზე, ოქსიდაზაზე პიგმენტის წარმოქმნა.

ნაწლავური ჯგუფის ბაქტერიების დადგენა წარმოებდა შემდეგი ტესტებით: რეზისტენტობა კალიუმის ტელურიტის მიმართ, ჰემოლიზი. პროტეოლიზი, ნახშირწყლების ფერმენტაცია და მოძრაობის უნარი ნახევრად თხევად აგარზე.

პათოგენური სოკოების გამოყოფისათვის პროსტატის სეკრეტი ითესებოდა საბუროს ნიადაგზე 250C-ზე 24-72 საათით.

ტრიქომონადების გამოვლენის მიზნით, მზადდებოდა პროსტატის სეკრეტის ჩათესვა საკვებ ნიადაგებზე (LFS da TV ნიადაგებზე, გერმანია).

უჯრედშიდა ინფექციების გამოვლენის მიზნით, ავადმყოფებს ჩავუტარეთ გამოკვლევები დნმ ჰიბრიდიზაციის მეთოდით. რეაქციის ჩასატარებლად ვიყენებდით რუსული წარმოების „სატურნის“ მიერ წარმოებული დნმ ჰიბრიდიზაციის ტესტ-სისტემებს.

გონოკოკის გამოკვლევას ვაწარმოებდით ბაქტერიოსკოპიული მეთოდით, რომელიც მდგომარეობს გრამის წესით მიკრობის აღმოჩენაში, აგრეთვე, ვიყენებდით ბაქტერიულ დათესვას გონოკოკზე.

ანტიმიკრობული პრეპარატების მიმართ მრძნობელობა-რეზისტენტობას ვსწავლობდით დისკოდიფუზიის მეთოდით.

ბაქტერიოლოგიური კვლევისათვის გამოყენებული იყო პროსტატის სეკრეტი და ურეთრის გამონადენი 150 ავადმყოფისაგან.

მიღებული შედეგები. ინფექციური ურეთრაპროსტატიტების დროს მიკროორგანიზმები ასეთი თანმიმდევრობით გვხვდება: თრიცომონა ვაგინალის - 59,4 %; *Candida albicans* - 71,3 %; *Chlamidia trachomatis* - 24,9 %; Herpes I, II ტიპის ვირუსი. 23,7 %; CMV - 11,3 %; *Ureaplasma urealyticum* - 18,9 %; *Mycoplasma hominis* - 9,8 %; *N. gonorrhoeae* - 7,8 %; *S. pyogenes* - 4,7 %; *S. Aureus* - 7,14 %.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შევისწავლეთ იდენტიფიცირებული მიკრობების მრძნობელობა-რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მიმართ.

ინფექციური ურეთრაპროსტატიტების დროს მიქსტ-ინფექციური მიკროფლორა მრძნობიარე იყო ცეფალოსპორინების ჯგუფის (კლაფორანი, ცეფაზოლინი, ცეფტრიაქსონი, რაციოცეფი, როცეფინი, დარდუმი, ფორტუმი, მაქსიპენი), ამინოგლიკოზიდების (გენტამიცინი, ნეტრომიცინი), ლინკოზამიდების (ლინკომიცინი, ლინკოცილინი, კლინდომიცინი, დალაცილინი), ფტორქინოლონის (ციფრინოლი, ნოლიცილინი, ციპროფლოქსაცილინი), ტეტრაციკლინის (ვიბრამიცინი, დოქსაციკლინი) ანტიბიოტიკების მიმართ. მიქსტ-ინფექციის გამომწვევი მიკროორგანიზმები ძირითადად რეზისტენტული იყო პენიცილინის (პენიცილინი „G“, პროკაინ პენიცილინი, რეტორპენი), ამინო-პენიცილინის (ამოქსაცილინი, ამპიცილინი), კარბოქსი პენიცილინის (კარბენცილინი, ოქსაცილინი) და პოლიპეპტიდების ჯგუფის (პოლიმიქსინი)

ანტიბიოტიკების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ და აპრობაცია გავუკეთეთ ინფექციური ურეთრაპროსტატიტებით დაავადებული 150 ავადმყოფის ეტიოლოგიური და პათოგენური მკურნალობის მეთოდებს მრძნობიარე ანტიბიოტიკით, რომლებიც მიმართული იყო ურეთრასა და პროსტატაში მიკრობების ელიმინაციისაკენ და შარდსასქესო სისტემაში ტროფიკული ცვლილებების რეგენერაციისაკენ.

я

Эт, олог, ЧеЯкаЯЯгруктураЯЯ

, н- еки, онныэяуретроСроЯгт, товЯ

я

я

Про- эБэЯкобадзе, яНэШавд, ЯяСро- эЖэАСр, дон, дзеЯ

яяя

К=федр=ям, кр%, %т%, , я, яС, дем, %т%, , я %Вд=рЯвенн%иямед, ц, нЯ%ияК=дем, , яр3з, , я

პაროდონტიტი დაავადებულში აუტოიმუნური პროცესის უჯრედული რეაქციები

მ. კობახიძე, მედ.მეცნ.დოქტ. ლ. ჯაში

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „გორგასალის“
სტომატოლოგიის კათედრა,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიული სტომატოლოგიის
კათედრა

პირის ღრუს პათოლოგიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პრობლემური დაავადების – პაროდონტიტის ეტიოლოგიისა და პათოგენეზის კვლევა სტომატოლოგიის აქტუალური საკითხია. თანამედროვე მოსაზრებით, ამ დაავადების განვითარება, მიმდინარეობა, პროგრესირების ხასიათი მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმუნური სტატუსის ცვლილებებით [4,5,6,7,8,10]. დადგენილია, აგრეთვე, რომ პაროდონტიტის დროს ვითარდება აუტოიმუნური პროცესი, რომელიც გამოქვავდება როგორც უჯრედული რეაქციებით, ისე ჰუმორული მექანიზმების ცვლილებებით [1,7,8,10,12,13].

ლიტერატურის მონაცემებით ცნობილია, რომ მრავალრიცხოვანი ენდო- და ეგზოგენური ფაქტორის გავლენით შეიძლება დაირღვეს იმუნური სისტემის ფუნქციონირება [3,9,11]. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურად მავნე საწარმოო ფაქტორების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლას. იმუნური სისტემა, როგორც მაღალმგრძობიარე მექანიზმი, ეკოპათოგენებთან კონტაქტის ყველაზე ადრეულ პერიოდში რეაგირებს ადაპტაციური რეაქციებით, მოგვიანებით ვითარდება იმუნოპათოლოგიური რეაქციები, მათ შორის – ორგანიზმის ზემოქმედება და პათოლოგიური პროცესების აქტივაცია [3,9].

დღეს, სტომატოლოგიაში შედარებით ნაკლებად შესწავლილი თემაა, თუ რა როლი განეკუთვნება სხვადასხვა პროფილის წარმოების ეკოლოგიურად მავნე ფაქტორებს მათთან კონტაქტის პირობებში განვითარებული პაროდონტიტის იმუნოპათოგენეზში.

1986-1990 წლებში ჩავატარეთ პირის ღრუს დაავადებათა ფართო მასშტაბის კომპლექსური, შედარებითი გამოკვლევა მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის ორი უდიდესი ობიექტის – ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის (ფშქ) და რუსთავის „აზოტის“ მუშა-მოსამსახურეთა შორის. კვლევის მიზანი იყო, ამ საწარმოთა ეკოლოგიურად მავნე პროფესიული ფაქტორების როლის დადგენა სტომატოლოგიურ დაავადებათა განვითარებაში და იმ მექანიზმების გამოვლენა, რომლებიც ამ ფაქტორების ზემოქმედების ფონზე აპირობებს პაროდონტის ქსოვილის ფუნქციის დარღვევას.

წარმოდგენილ ნაშრომს საფუძვლად უდევს მონაცემები აღნიშნული გამოკვლევებიდან.

კერძოდ, მასში განხილულია აუტოიმუნური პროცესის უჯრედული რეაქციები პაროდონტიტით დაავადებულ იმ პირთა შორის, რომლებიც დასაქმებული იყვნენ ფშქ-ს სადნობ საამქროებში (მეტალურგიული მრეწველობა) და ამავე ქარხნისა და „აზოტის“ მანგანუმისა და მანგანუმის ორჟანგის ელექტროლიზური გზით მიმღებ საამქროებში (ქიმიური მრეწველობა). ეს კონტინგენტი მუშაობის პროცესში განიცდიდა მავნე პროფესიული ფაქტორების ზემოქმედებას, რომელთა შორის წამყვანი როლი მიეკუთვნებოდა მაღალ ტემპერატურას (370 – ღუმელის წინა მოედანზე) – სადნობ საამქროებში და მანგანუმის ორჟანგის მტვერს – როგორც სადნობ, ისე ელექტროლიზურ საამქროებში. ამასთან, მანგანუმის ორჟანგის მტვერით სამუშაო ზონის გაცილებით მაღალი

დაბინძურება დაფიქსირდა ელექტროლიზურ საამქროებში, ვიდრე სადნობში (6,0 მგ/მ3 – შედარებით 0,9 მგ/მ3-თან). საყურადღებოა ისიც, რომ ორივე ქარხანაში, ელექტროლიზური საამქროები ის საწარმოო ზონა აღმოჩნდა, სადაც პაროდონტიტის გავრცელების განსაკუთრებით მაღალი სიხშირე გამოვლინდა: 70,32 ± 5,22% (ფშქ) და 66,34 ± 3,82% (აზოტი) (სადნობ საამქროებში – 25,61 ± 1,2%, p<0,01).

მასალა და მეთოდები. გამოსაკვლევი პირები დაყვავით ორ ჯგუფად: პირველში შედიოდა სადნობი საამქროების ინტაქტური პაროდონტის მქონე 20 (საკონტროლო ქვეჯგუფი) და პაროდონტიტით დაავადებული 51 (ძირითადი ქვეჯგუფები) პირი. მეორეში – იგივე პრინციპით და იგივე რაოდენობით შერჩეული ელექტროლიზური საამქროების მუშა-მოსამსახურეები. გამოსაკვლევი პირთა ასაკი მერყეობდა 20-დან 45 წლამდე, სამუშაო სტაჟი 10 წელზე ზევით.

უჯრედული იმუნიტეტის ცვლილებებს ვსწავლობდით ლეიკერგიის [5] და ლეიკოციტების მიგრაციის დათრგუნვის (MIF) [2,7] რეაქციების მეშვეობით. ლეიკერგიის დროს ვიყენებდით ღრძილის კომპლექსურ ანტიგენს. მას ვამზადებდით ქირურგიული ოპერაციების დროს აღებული ღრძილის ქსოვილისაგან [7] მისი როგორც ნორმალური, ისე პათოლოგიურად შეცვლილი ჰიპერტროფიული ნაწილისაგან. დონორად ვარჩევდით პირს, რომელიც მუშაობდა საამქროს იმ განყოფილებაში, სადაც ყველაზე მაღალი იყო დამტვერიანება მანგანუმის ორჟანგით (გამოწვის, გამოტუტვის განყოფილებაში). MIF-ის დროს ვიყენებდით ნ. გოგებაშვილის მიერ დამზადებულ იმუნოსორბენტს – ბრომციანიტ აქტივირებული სფ4B მარცვლებზე აღსორბირებული I ტიპის კოლაგენს.

ლეიკერგიის რეაქციის დროს სენსიბილიზებული ლეიკოციტების აგლომერაციის ხარისხს ვაფასებდით საკონტროლო და საცდელ სინჯარებში შემოწმებული ლეიკოციტების (არანაკლებ 3 ლეიკოციტისა) პროცენტული სხვაობით [5]. I -ის (ინ ვივო) რეაქციის დროს მიგრაციის დათრგუნვის ინდექსს ვანგარიშობდით ფორმულით:

$$\frac{N_1 - N_2}{N_1} * 1000$$

სადაც N1 არის ნეიტროფილების საწყისი რიცხვი პირის ღრუს სითხის 1 მმ3-ში, N2 – ნეიტროფილების რიცხვი პირის ღრუს სითხის 1 მმ3-ში, ანტიგენის გამოკვების შემდეგ. დადებითად ვთვლიდით რეაქციას, როდესაც ლეიკოციტების მიგრაციის დათრგუნვა ხდებოდა 30-ზე მეტი პროცენტით [2]. მონაცემებს ვამუშავებდით სტატისტიკურად. **შედეგები და მათი განხილვა.** კვლევის შედეგები მოტანილია პირველსა და მეორე ცხრილში. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ლეიკერგიის ხარისხი, ღრძილის ანტიგენის მიმართ, ორივე ჯგუფში იზრდება პაროდონტიტის პროცესის პროგრესირებასთან ერთად. ამასთან, რეაქციის მაჩვენებელი როგორც საკონტროლო, ისე ძირითად ჯგუფებში გაცილებით მაღალია ელექტროლიზურ წარმოებაში, ვიდრე სადნობ საამქროებში. მსუბუქი ფორმის პაროდონტიტით დაავადებულებში ლეიკერგიის ხარისხი 30%-ზე მეტი აღმოაჩნდა გამოკვლეულთა 32, 48%-ს – სადნობ საამქროებში, 37,84%-ს – ელექტროლიზურ წარმოებაში. საშუალო სიმძიმით დაავადებულთაგან 36,66%-ს – სადნობ საამქროებში, 41,67%-ს – ელექტროლიზურ წარმოებაში (საკონტროლო ჯგუფებს – 6,06% – სადნობში, 10% – ელექტროლიზურში) p<0,001C =0,44.

შენელებული ტიპის ზემოქმედების აუტოალერგიულ რეაქციას – ლეიკერგიას განაპირობებს ცირკულაციაში მყოფი სენსიბილიზებული ლეიკოციტების უნარი, მიეწვობს სისხლძარღვის ენდოთელიუმს *in vivo*, ხოლო მინას – *in vitro*. მისი მექანიზმი უკავშირდება ორგანიზმის დაცვით, არასპეციფიკურ რეაქციას, რომელსაც თან ახლავს უჯრედშიდა მეტაბოლიზმის აქტივაცია და ლეიკოციტების ზედაპირული დაჭიმულობის გადიდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ლეიკოციტების ბაქტერიოლოგიური და ფაგოციტური

აქტიუობის ამაღლება [5]. ლეიკერგის რეაქციის სტიმულირება სხვადასხვა ანტიგენით განიხილება, როგორც ლეიკოციტების სენსიბილიზაციის განმსაზღვრელი შესაბამისი ანტიგენის მიმართ [5]. ჩვენ მიერ მიღებული შედეგები ადასტურებს, გამოკვლეულ კონტინგენტში, ლეიკოციტების გამოხატულ სენსიბილიზაციას ღრძილის ანტიგენის მიმართ.

ცხრილი 1
ლეიკერგის (ლეიკოციტების აგლომერაციის) რეაქციის შედეგები ღრძილის ანტიგენის მიმართ

	ჯგუფები	ლეიკოციტების აგლომერაციის ხარისხი				
		პაროდონტიტის ფორმები	15%-ზე ნაკლები	16–20%	21–25%	25–30%
I საღრობი საამქროები	საკონტროლო ჯგუფი n=30	20 66.66%	3 10%	2 6.66%	3 10%	2 6.66%
	პაროდონტიტი მსუბუქი ფორმის n=37	9 24.32%	1 2.70%	8 21.62%	7 18.91%	12 32.43%
	პაროდონტიტი საშუალო სიმძიმის n=60	14 23.33%	4 6.66%	5 8.33%	15 25%	22 36.66%
II ვლექტროლიზუ რი წარმოება	საკონტროლო ჯგუფი n=30	15 50%	6 20%	1 3.73%	5 16.67%	3 10%
	პაროდონტიტი მსუბუქი ფორმის n=37	4 10.8%	2 2.70%	10 27.08%	8 21.62%	14 37.84%
	პაროდონტიტი საშუალო სიმძიმის n=60	9 15%	3 5%	5 8.33%	18 30%	25 41.67%

კომპლექსური ღრძილის ანტიგენის მიმართ უჯრედული იმუნიტეტის ცვლილების გამოვლენის შემდეგ, შევეცადეთ უფრო ზუსტად დაგვედგინა, კონკრეტულად რა სახის უჯრედების ან ანტიგენის მიმართ ვითარდებოდა აუტოიმიუნიზაციის პროცესი.

ცხრილი 2
ლეიკოციტების მიგრაციის დათრგუნვის რეაქციის შედეგები (კოლაგენ I-ის მიმართ ლეიკოციტების სენსიბილიზაცია)

ჯგუფები	პაროდონტიტის ფორმები	დადებითი რეაქციები (%)	ნიეტროფილების რაოდენობა 1 მმ ³ პირის დრუს სითხეში		მიგრაციის დათრგუნვის ინდექსი (%)	
			N ₁	N ₂	M ± m	
საკონტროლო ჯგუფი	n=30	n=0	185	164	11.35± 1.11	1
პაროდონტიტი მსუბუქი ფორმის	n=37	n=23 62.16%	250	163	34.65±2.01	2
პაროდონტიტი საშუალო სიმძიმის	n=60	n=40 66.66%	257	147	42.80±1.02	3
საკონტროლო ჯგუფი	n=30	n=0	190	152	20±5.11	4
პაროდონტიტი მსუბუქი ფორმის	n=37	n=25 67.56%	270	138	45.88±0.51	5
პაროდონტიტი საშუალო სიმძიმის	n=60	n=42 70.00%	295	142	51.86±1.03	6

p<0.001

მიგრაციის დათრგუნვის ინდექსის მნიშვნელობები სტატისტიკურად სარწმუნოა: 2 და 3 1-თან, 3 – 2-თან, 5 – 6 – 4-თან, 6 – 5-თან, 5 – 2-თან, 6 – 3-თან.

ლიტერატურის მონაცემებით ცნობილია, რომ პაროდონტიტის განვითარებაში ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი პაროდონტის შემავრთებელი ქსოვილისა და მისი ძირითადი ცილის – კოლაგენის მეტაბოლიზმის დარღვევაა, რომელსაც თან ახლავს მისი ბარიერული ფუნქციისა და ორგანიზმის საერთო რეაქტიულობის ცვლილებები [1, 4].

კოლაგენის პათოგენეტიკური როლი ნათლად ვლინდება აუტოიმუნური პროცესის დროს, როდესაც კოლაგენი გამოდის აუტოანტიგენის როლში და იწვევს იმუნიტეტის უჯრედული და ჰუმორული რეაქციების ინდუცირებას [1].

ამ მონაცემების გათვალისწინებით, კვლევის შემდეგ ეტაპზე გამოვიყენეთ კოლაგენის ანტიგენი – I ტიპის კოლაგენი. მის მიმართ აუტოიმუნოზაციის პროცესი იმავე ჯგუფებში შევისწავლეთ პირის ღრუში (ინ ვივო) ლეიკოციტების მიგრაციის დათრგუნვის რეაქციის მაგალითზე. შედეგები მოტანილია მეორე ცხრილში. როგორც ამ მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, ჩვენ მიერ გამოკვლეულ ჯგუფებში კოლაგენ I-ის ზემოქმედებით ვითარდება პირის ღრუში ნეიტროფილური ლეიკოციტების მიგრაციის მკვეთრი დათრგუნვა. დადებითი რეაქციები გამოვლინდა: სადნობ საამქროებში – გამოკვლეულთა 62,16%-ში მსუბუქი ფორმის პაროდონტიტის დროს, 66,66%-ში საშუალო სიმძიმის დროს. ელექტროლიზურ წარმოებაში, შესაბამისად – 67,56%-ში და 70,0%-ში. საკონტროლო ჯგუფებში ყველა რეაქცია უარყოფითი აღმოჩნდა. მიგრაციის დათრგუნვის ინდექსის მნიშვნელობა სასწრაფოდ იზრდება პაროდონტიტის კლინიკური მიმდინარეობის პროგრესირებასთან ერთად. ამასთან, მიგრაციის დათრგუნვის რეაქცია მეტი სიღრმით არის გამოხატული მანგანუმის ელექტროლიზური წარმოების მუშებში, ვიდრე სადნობი საამქროების კონტინგენტში: მსუბუქი ფორმის პაროდონტიტის დროს ინდექსის მნიშვნელობა სადნობ საამქროებში – $34,65 \pm 2,01$, საშუალო სიმძიმის გენერალიზებული პაროდონტიტის დროს – $42,80 \pm 1,02$, ელექტროლიზურ წარმოებაში – შესაბამისად – $45,88 \pm 0,51$ და $51,86 \pm 1,03$. ჩვენ მიერ მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მეტალურგიული და ქიმიური წარმოების ეკოლოგიურად დამაბინებელ გარემოში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შორის, პაროდონტიტის დაავადების დროს, ვითარდება აუტოიმუნური პროცესი, რასაც მოწმობს შენელებული ტიპის ზემგრძნობელობის რეაქციების – ლეიკერგიისა და ლეიკოციტების მიგრაციის დათრგუნვის გამოვლინება. ლეიკოციტების აუტოსენსიბილიზაცია გამოხატულია კომპლექსური ღრძილის ქსოვილის ანტიგენისა და I ტიპის კოლაგენის მიმართ. აუტოიმუნოზაციის უჯრედული რგოლის ცვლილებები პირდაპირ დამოკიდებულებაშია პაროდონტიტის პროცესის სიმძიმესთან და მანგანუმის ორჟანგის მტვრით გარემოს დაბინძურების ხარისხთან. ამას ადასტურებს აუტოსენსიბილიზაციის უფრო მაღალი მაჩვენებლები პაროდონტიტის გართულებული ფორმების დროს და ელექტროლიზური წარმოების მუშათა შორის, რომლებსაც იმ საწარმოო ზონაში უწევდათ საქმიანობა, სადაც განსაკუთრებით მაღალი იყო დამტვერიანება მანგანუმის ნაერთით.

ზემოაღნიშნული აწეული მგრძნობელობის რეაქციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პაროდონტიტის პროცესის აქტივობის შესაფასებლად, ავადმყოფთა იმუნური სტატუსის დასახასიათებლად, პაროდონტის პათოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების სრულყოფის მიზნით.

Клеточные реакции, ауто, муногоя Prozesse Яна Ср, я Сародонт, тешя

я

я

МэвэжКобаэ, дзе, я доктэ медэ наука ЛэМэДжаш, я

я

Незав, Я мыйяун, веря тетя «ГоргСЯл, », я Тб, л, Я, я

ка- едрая Гоматолог, , я

Тб, л, ЯК, йяго Яудар Я венный мед, ц, нЯК, йяун, веря тет, я

ка- едрая герасевт, че Жойя Гоматолог, , я

я

h ззчен/ я изменен, яякле 2% ин% я% ввен=я=32% ммзнн% я% ср% де Яна Ср, я Ср% ин2, 2ея ред, яр=б% ин, эя ме2=ллзрг, че ЯК% ин (Ст=в, льн/ еяце=ч я, м, че ЯК% ин (элек2р% ин, 2, че ЯК, еяце=ям=рг=нц=я, я дв3% ин, Я я м=рг=нц=ч=це=я в=в=д=я ферр% ин=я г=е я=ф% ин, я, я Ср% ин зв% ин я в=я-я аз% ин, »я гэр з я в=, ят=я я ин% ин в ея р=зв, 2, я я ре=кц, , я лейкерг, , я я ф м% ин, я я м, гр=ц, , я лейк% ин, 2% ин я ин=я в л=ен=я в/ р=женн=я я =32% ин Я б, л, з=ц, я лейк% ин, 2% ин я Ср% ин, в я м слек я н% ин=н2, ген=я де я н/ я я я сец, ф, че ЯК% ин я л=тен=я я я, С=я б ме я я я 2 ем, я я я 2 я в/ я в л=ен, я я к=з=нн/ я я в Серч з в я в, 2 ельн/ я я ре=кц, я я я де Сень я я н я б, л, з=ц, , я лейк% ин, 2% ин я ин=я, 2 я я я я я я я в я з, я я я же я я б о я Ср% ин я н Ср% ин2, 2=я, я Ср% ин=2 е лем я в=т р я з н=ен, я я Ср% ин зв% ин я в=нн=я я ред/ я С/ л ю я д в 3% ин, Я я м=рг=нц=я я

я

я

я

я

я

Cellular Reactions of Autoimmune Process in the presence of Parodontitis

M. Kobakhidze, L. Jashi

In the proceeding changes of cellular link of autoimmune process in cases of parodontitis among workers of metallurgical (melting shops of Zestaphoni's Ferroalloy Plant) and chemical (electrolytic shops of manganese and dioxide manganese of Zestaphoni's Ferroalloy Plant and Rustavi's – "Azoti") production are studied. On the basis of development of reaction of leucergy and inhibition of migration of leucocytes is set expressed autosensitization of leucocytes against complex antigen of gum and specific collagen of Ist type. At he same time frequency of exposure of mentioned supersensitive reactions and the degree of sensitization of leukocytes is in direct coupling with the heaviness of the process of parodontitis and the activities of pollution of production environment with the spray of manganese of dioxide.

ლიტერატურა:

Л, температура:

1. ჯაში ლ. – პირველი ტიპის კოლაგენის მიმართ ორგანიზმის სენსიბილიზაცია პაროდონტიტების დროს. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. XXXIII. თბილისი, 1997, გვ. 438–441.
2. აღ% ინ აქ ია ინ დ=რე ვ=ა ტ=ა ტ=ა ტ=ა, 2=ე ვ=ა ბ ა ტ=ა ტ=ა ე ნ% ინ ენ ია მენ ია ფ მ% ინ, я я м, гр=ц, , я лейк% ин, 2% ин я ин я в о я я ин я и т о я Ср, я я к=რ я в=нн=я я я л л е р г, , я С 2% ин=2% ин, я, я я 80 я ტ=ა ტ=ა, я я ინ დ ფ ა
- 3 აქ ი ჯ=ა, я ტ=ა ა რ ი ჯ მ ე ნ ე ნ, ე я ს=რ% ин2=ა я, я მ მ 3 ნ% ინ, че ЯК, ея я в, г, я я რ=ბ% ин, эя к% ин, че ЯК, я я я г% ин е н н% ин Ср% ин зв% ин я в=я მ 3 ნ% ინ=я я რ=ა ჟ ლ რ გ% ინ=ა я კ, ე ვ, я я 8, я ტ=ა ტ=ა 70 ფ 7 ა
- 4 აქ ი ვ=ნ% ин ა ს ა რ გ=ბ% ინ ე ვ=ნ, я я ს=რ% ин2=ა აქ ი ე დ, ц, н=я я 89, я 82 я
- 5 აქ ი ბ=კ% ин აქ ი ა ე ლ ჯ, კ% ин ა ბ ა რ % ин/ я მ მ 3 ნ% ინ, , я ს=რ% ин2=ა ტ=ა ტ=ა 72 ა
- 6 აქ ი ჯ მ% ин, я ი ა ო აქ ი რ, კ% ин=ა ტ=ა აქ ი რ% ინ=ა ტ=ა აქ ი აქ ი, н, კ% ин м м 3 н% ин, че ЯК, ея я ბ=ნн% ин, я С=2% ин ე ნ ე ვ=ა კ=2=რ=ა ბ=ნ% ин, н г, в, 2=я С 2% ин=2% ин, я, я 2003 ა ნ 3, я 2 ა 24 ფ 7 ა
- 7 აქ ი =? ე ნ კ% ин ა ს ა რ ე=კც, я я ჯ ფ მ% ინ, я я м, гр=ц, , я лейк% ин, 2% ин я я 2 ვ ე 2 ე ნ=ა დ ე я ნ ე ვ% ин=н2, გენ ი ბ% ინ/ ე я ს=რ% ин2% ин ა ს 2% ин=2% ин, я, я 77, я, я 2 ა 34 ფ 5 ა
- 8 აქ ი რ ე ვ=ა ტ=ა ტ=ა აქ ი მ მ 3 ნ% ინ, че ЯК% ин ე ნ ე ვ=ნ, з м/ я я ს=2% ин ე ნ ე ვ=ა ტ=ა ტ=ა, 2 ე ლ ნ/ ე ვ=ბ% ინ ე ვ=ნ, я я ს=რ% ин2=ა ა ვ 2% ინ რ ე ფ ა, я я ნ 2% ინ ე მ ე ნ=3 კ, я ტ=ა ტ=ა 97, я 44 я
- 9 აქ ი = 2% ин რ ე ა, ნ ე გ, ნ я ბ აქ ი я მ=ა ვ ი აქ ი აქ ი, че ЯК=я я მ მ 3 ნ% ინ, я აქ ი აქ ი 95, я m h p n, я 2 ა 8 ა
- 10 აქ ი ე ს% ин აქ ი აქ ი რ ე ვ=ა ტ=ა ტ=ა აქ ი მ მ 3 ნ=აქ ი რ=ს, я я ვ% ин=ა, 2 ე ლ ნ/ ე ვ=ბ% ინ ე ვ=ნ, я я ს=რ% ин2=ა ლ ი ო ვ, , я ლ, я რ ე=ა ბ=ნ% ин=ა რ% ин2% ინ, я, я 2 (ა 4 я 99, я 3 ა

№13, მ. იანვარი 1999 წ. / 13. Page R.C. _ Host response tests for diagnosing periodontal disease. J. Periodontal, 1992, v. 63, N 3, p. 356.

№13, მ. იანვარი 1999 წ. / 13. Page R.C. _ Host response tests for diagnosing periodontal disease. J. Periodontal, 1992, v. 63, N 3, p. 356.

№13, მ. იანვარი 1999 წ. / 13. Page R.C. _ Host response tests for diagnosing periodontal disease. J. Periodontal, 1992, v. 63, N 3, p. 356.

რეციდიული აფთური სტომატიტის რისკის ფაქტორები

ხ. ქორიძე

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია

რეციდიული აფთური სტომატიტი პირის ღრუს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. შრომის მიზანს წარმოადგენს რეციდიული აფთური სტომატიტის რისკის ფაქტორების დადგენა და ფარდობითი შანსის გამოთვლა ყოველი ფაქტორისათვის. ჩვენ მიერ შესწავლილია 20-დან 70 წლის ასაკამდე 62 აფთური სტომატიტით დაავადებული და იგივე ასაკის 61 საკონტროლო (სტომატიტის გარეშე) პაციენტის კლინიკური მასალა თბილისის ომის ვეტერანთა ჰოსპიტლის კონტინგენტიდან. კვლევა ჩატარდა რეტროსპექტულად. კვლევის ტიპი – შემთხვევა-კონტროლი. შეფასებულ იქნა შანსების ფარდობა და სარწმუნობის ინტერვალი თითოეული ფაქტორისათვის ჯგუფების მიხედვით. ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით 2 კრიტერიუმით (Pearson). მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 11-5 –ის გამოყენებით. დადგინდა, რომ რეციდიული აფთური სტომატიტის ფარდობით შანსს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: სოციალურ-ბიოლოგიური (OR=5,19; 95%CI:1,07-25,12); საწარმოო მტვრის მოქმედება (OR=9,24; 95%CI:1,11-76,04); საცხოვრებელი ადგილის მანქანა ეკოლოგიური ფაქტორები (OR=14,94; 95%CI:1,88-118,91); კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები (OR=2,19; 95%CI:1,05-4,54); ფოკალური ინფექციის კერები (OR=3,09; 95%CI:1,03-9,28); რესპირატორული ინფექციები (OR=4,13; 95%CI:1,60-10,64); ლორწოვანი გარსის ტრავმები (OR=2,19; 95%CI:1,05-4,58); ემოციური სტრესი (OR=2,68; 95%CI:1,07-25,12); პაროდონტიტი (OR=2,72; 95%CI:1,25-5,94); გინგივიტი (OR=4,22; 95%CI:1,55-11,49); ჰიგიენური ინდექსი - cudi (OR=10,56; 95%CI:1,29-86,12) და ჰიგიენური ინდექსი - ძალიან ცუდი (OR=5,88; 95%CI:1,23-28,09); გენეტიკური ფაქტორი (OR=3,55; 95% CI:1,08-11,72).

რეციდიული აფთური სტომატიტი წარმოადგენს პირის ღრუს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებას. მისი გავრცელების სიხშირე მსოფლიოში მერყეობს 3-66%-ში, ყველაზე მეტად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში 22% [8]. თეთრკანიანებში შეადგენს 20,87%, მექსიკელ-ამერიკელებში 12,88%, შავკანიანებში კი შედარებით ნაკლებია 4,96% [9].

რეციდიული აფთური სტომატიტის ეტიოლოგია დღემდე არ არის გარკვეული. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც განაპირობებს სტომატიტისადმი მიდრეკილებას, გამოირჩევა კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რკინის, B12-ის და ფოლიუმის მჟავის დეფიციტი, დაავადება შეიძლება პროვოცირებული იყოს სტრესით ან ადგილობრივი ტრავმით. ხშირად აღინიშნება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სხვა დაავადებების თანდართვა.

მკურნალობის ეფექტური მეთოდის შერჩევისათვის აუცილებელია დაავადების გენეზის გარკვევა და პრედიქტორების განსაზღვრა [2,6,7,10].

შრომის მიზანს წარმოადგენდა ქრონიკული რეციდიული აფთური სტომატიტის რისკის ფაქტორების დადგენა და ყოველი ფაქტორისათვის ფარდობითი შანსის გამოთვლა.

მასალა და მეთოდები. ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა 20-დან 70 წლის ასაკამდე 62 აფთური სტომატიტით დაავადებული და იგივე ასაკის 61 საკონტროლო (სტომატიტის გარეშე) პაციენტის კლინიკური მასალა თბილისის ომის ვეტერანთა ჰოსპიტლის კონტინგენტიდან.

კვლევა ჩატარდა რეტროსპექტულად. კვლევის ტიპი – შემთხვევა-კონტროლი. ჩართვის კრიტერიუმები: კლინიკაში 2002-2004 წლებში შემოსული აფთური სტომატიტით დაავადებული ყველა პაციენტი. საკონტროლო ჯგუფი შეირჩა რანდომიზაციით.

ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა სტომატიტის სავარაუდო რისკის ფაქტორები: პაციენტის სოციალურ-ბიოლოგიური მდგომარეობა, მანიფესტაციის ასაკი, მანვ ჩვევები, საწარმო-პროფესიული ფაქტორები, ფონური და თანდართული დაავადებები, კვების ტიპი, კბილების პათოლოგია, თანკბილვის სახეობა, ჰიგიენური ინდექსი - ფიოდოროვ-ვოლოდკინას მიხედვით [3], გენეტიკური მიდრეკილება, დაავადების სეზონურობა, ძირითადი პათოლოგიის ფორმა, პირის ღრუს მდგომარეობა, ლორწოვანი გარსის დაზიანება.

ფაქტორების შერჩევის შემდეგ, მოვახდინეთ მათი კოდირება. ყოველმა ფაქტორმა შეიძლება მიიღოს განსაზღვრული მნიშვნელობა (1 ან 0). ორივე ჯგუფში, გამოთვლილ იქნა მათი სიხშირეები, შემდეგ განსაზღვრეთ განსხვავების სტატისტიკური შეფასება ცალკეული ნიშნის მიხედვით.

შეფასებულ იქნა შანსების ფარდობა და სარწმუნოების ინტერვალი თითოეული ფაქტორისათვის ჯგუფების მიხედვით [1,5].

ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით X² კრიტერიუმით (Pearson). თუ $c^2 > 3,84$, $p < 0,05$ [4]. მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 11-5 –ის გამოყენებით.

კვლევის შედეგები. საკვლევ ჯგუფში სტომატიტის ფორმების მიხედვით ავადმყოფები შემდეგნაირად განაწილდა: ფიბრინოზული ფორმა - 55,7%; ნეკროზული - 6,6%; გლანდურული - 24,6%; ნაწიბუროვანი - 4,9%; დეფორმული - 8,2%. ლორწოვანი გარსის დაზიანება: - ბუშტუკი - 8,2%; აფთა - 63,9%; ეროზია - 36,1%; წყლული - 11,5%; ნაპრალი - 8,2%; ნაწიბური - 3,3%; აფთების ლოკალიზაცია: - ენა - 37,3%; მაგარი სასა - 32,5%; ტუჩები - 31,1%; ლოყა - 19,7%; დაავადების მიმდინარეობა: მსუბუქი - 52,5%, საშუალო - 29,5%, მძიმე - 18,0%; აღინიშნებოდა შემდეგი მიკრობული ფლორა: - მიკრობი - 88,5%; ვირუსი - 3,3%; სოკო - 24,6%; პაციენტის ჩივილები: - წვა - 44,30%; ჩხვლეტა - 18,0%; პარესთეზია - 1,6%; ტკივილი საკვების მიღებისას - 88,5%; აფთების ეპითელიზაციის ვადები: 7-14 დღე - 70,5%; 10-21 დღე - 21,3%; 30 დღე და მეტი - 11,5%; რემისიის ვადები: 3-4 თვე - 55,7%; 2-4 თვე - 27,9%; 1-2 თვე - 17,5%.

შევისწავლეთ რეციდიული აფთური სტომატიტის რისკის ფაქტორები და რეციდიული აფთური სტომატიტის განვითარების ფარდობითი შანსი თითოეული ფაქტორის მოქმედების პირობებში საკვლევ და საკონტროლო ჯგუფში (ცხრილი).

რეციდიული აფთური სტომატიტის რისკის ფაქტორთა შედარებითი ანალიზი და დაავადების ფარდობითი შანსი

		მაჩვენებლები	სიხშირე ავადმყოფთა ჯგუფში	სიხშირე სა-კონტროლო ჯგუფში	χ^2	OR	CI-OR	CI+OR
1	სქესი	მდედრობითი სქესი	0,525	0,387	2,34	1,75	0,85	3,58
2	სოციალურ-ბიოლოგიური ფაქტორები,	მოსამსახურე	0,672	0,919	11,60	0,18	0,06	0,52
3		მუშა	0,066	0,032	0,74	2,11	0,37	11,94
4		გლეხი	0,148	0,032	5,02	5,19	1,07	25,12
5		სიგარეტის წევა	0,492	0,629	2,35	0,57	0,28	1,17
6		ალკოჰოლის ჭარბი მიღება	0,033	0,000	0,11	0,87	0,40	1,90
7	საწარმო-პროფესიული ფაქტორები	საწარმოო მტვრის მოქმედება	0,131	0,016	6,00	9,21	1,11	76,04
8		საცხოვრებელი ადგილის მანვე ეკოლოგიური ფაქტორები	0,197	0,016	10,61	14,94	1,88	118,91
9	ფონური და თანდართული დაავადებები	კუჭ-ნაწლავის ტრაქტირ პათოლოგიები	0,672	0,484	4,47	2,19	1,05	4,54
10		ენდოკრინული დაავადებები	0,098	0,016	3,87	6,65	0,78	57,02
11		ანემია	0,131	0,000	8,70			
12		ცენტრ. და მემბრეტ-ნერვ. სისტემის ფუნქც. დარღვევა	0,213	0,129	1,535	1,83	0,70	4,79
13		გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	0,426	0,548	1,84	0,61	0,30	1,25
14		ჰიპოვიტამინოზი	0,164	0,258	1,634	0,56	0,23	1,37
15		ემოციური სტრესი	0,689	0,452	7,04	2,68	1,28	5,61
16		ფოკალური ინფექციის კერები	0,213	0,081	4,32	3,09	1,03	9,28
17		რესპირატორული ინფექციები	0,344	0,113	9,36	4,13	1,60	10,64
18		მექანიკური ფაქტორი	ლორწოვანი გარსის ტრავმები	0,492	0,306	4,41	2,19	1,05
19	გამწვანებული მე-8 კბილის ამოჭრა		0,033	0,016	0,36	2,07	0,18	23,42
20		წამლების მიღება	0,377	0,258	2,01	1,74	0,81	3,76
21	კვების ტიპი	უპირატესად ნახშირწყლთვანი	0,033	0,048	0,19	0,67	0,11	4,14
22		უპირატესად ცილთვანი	0,066	0,081	0,10	0,80	0,20	3,13
23		ცხარე საკვების ხშირი მიღება	0,508	0,452	0,39	1,25	0,62	2,55
24		ობლიგატური ალერგენები	0,066	0,113	0,85	0,55	0,15	1,99
25		ტკბილეული	0,311	0,403	1,13	0,67	0,32	1,41

საკვლევი და საკონტროლო ჯგუფის შედარებისას აღმოჩნდა, რომ საკვლევი ჯგუფში სარწმუნოდ მომატებულია შემდეგ ფაქტორთა სიხშირე: სოციალურ-ბიოლოგიური ფაქტორი – გლეხი; საწარმო-პროფესიული ფაქტორები – საწარმოო მტვრის მოქმედება და საცხოვრებელი ადგილის მავნე ეკოლოგიური ფაქტორები; ფონური და თანდართული დაავადებებიდან ნიშნად აღმოჩნდა - კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები; ენდოკრინული დაავადებები; ემოციური სტრესი; ფოკალური ინფექციის კერები; რესპირატორული ინფექციები; კბილების პათოლოგია - პაროდონტიტი; გინგივიტი; ჰიგიენური ინდექსი - ცუდი; ძალიან ცუდი; ლორწოვანი გარსის ტრავმები. სარწმუნოდ მაღალი სიხშირით გამოირჩევა გენეტიკური ფაქტორი - სტომატიტი I-II ხარისხის ნათესავებში. როგორც გამოკვლევამ აჩვენა ეს ფაქტორები განსაზღვრავს დაავადების განვითარების სარწმუნოდ მაღალ ფარდობით შანსს ყველა შემთხვევაში (OR>1).

ავადმყოფთა ჯგუფში სარწმუნოდ მცირეა მოსამსახურეთა სიხშირე, ორთოგნათური თანკბილვის სახეობა; ჰიგიენური ინდექსის კარგი და დამაკმაყოფილებელი დონე. **შედეგების განხილვა.** კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მაღალია იმ პირთა რეციდიული აფთური სტომატიტით დაავადების ფარდობითი შანსი, რომელთაც I-II ხარისხის ნათესავებში აღენიშნებათ სტომატიტი, რაც მიუთითებს სტომატიტის ეტიოპათოგენეზში დაავადებისადმი გენეტიკური მიდრეკილების როლზე.

რეციდიული აფთური სტომატიტის მაღალი ფარდობითი შანსი აქვთ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებს (სოციალურ-ბიოლოგიური ფაქტორი-გლეხი), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს შხამქიმიკატებისა და პესტიციდების მოქმედებით, ამ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ მაღალი ფარდობითი შანსით გამოირჩევა საწარმოო მტვრის მოქმედება და საცხოვრებელი ადგილის მავნე ეკოლოგიური ფაქტორები.

ფონური და თანდართული დაავადებებიდან სტომატიტის ფარდობით შანსს ზრდის შემდეგი ფაქტორები: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები; ფოკალური ინფექციის კერები; დაავადების ეტიოპათოგენეზში ინფექციის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ისიც, რომ დაავადების განვითარების ფარდობით შანსს ზრდის პირის ღრუს ჰიგიენის დაბალი დონე, სახელდობრ, ჰიგიენური ინდექსები ცუდი და ძალიან ცუდი; რისკის ფაქტორებიდან აღსანიშნავია პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ისეთი პათოლოგიების არსებობა, როგორცაა პაროდონტიტი და გინგივიტი, რაც შეიძლება აიხსნას როგორც საერთო ეტიოპათოგენეტიკური ფაქტორების არსებობით, ისე მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. დაავადების გამწვავებ მექანიზმად შეიძლება მოიაზრებოდეს ლორწოვანი გარსის ტრავმები, რესპირატორული ინფექციები, ემოციური სტრესი; რეციდიული აფთური სტომატიტის ფარდობით შანსს ამცირებს შემდეგი ფაქტორები: სოციალურ-ბიოლოგიური ფაქტორი - მოსამსახურე; თანკბილვის სახეობა – ორთოგნათური; ჰიგიენური ინდექსის დამაკმაყოფილებელი და კარგი დონე.

დასკვნები: რეციდიული აფთური სტომატიტის განვითარებას განსაზღვრავს გენეტიკური მიდრეკილება.

რეციდიული აფთური სტომატიტის განვითარების ფარდობით შანსს ზრდის ქრონიკული და მწვავე ინფექციები, პირის ღრუს ჰიგიენის დაბალი დონე, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სხვა პათოლოგიების არსებობა.

რეციდიული აფთური სტომატიტის გამოვლენის ფარდობით შანსს ზრდის შემდეგი მაპროვოცირებელი ფაქტორები: ლორწოვანი გარსის ტრავმები, რესპირატორული ინფექციები, ემოციური სტრესი.

- акторыр, Жая- тозногоягомат, тая

я

я

ХэЖор, дзея

я

ГоЯдарЯгвеннаямед, ц, нЖаяяакадем, яяГруз, , я

я

Аф2%н/ ия2%м=2, 2яСред2%вляе2%дн%а, зяЯм/ эяЯр=ЯСр%Яр=ненн/ эяб%лев=н, ияС%л%Я, яр2=я
 0 ельяр=б%2/ :яСределен, еяф=к2%ф%вяр, Як=ф2%н%а%Я2%м=2, 2=я, яв/ ч, Япен, ея2н%Я, 2ельн%а%ш=нЯядля
 к=жд%а%ф=к2%ф=яп бЯлед%в=нб%б%льн%йяГб, л, ЯЯк%а%г%ЯС, 2=ляяве2ер=н%в%яв%йн/ ;я%н2р%льн3юягр3СС3я
 ЯЯ2=в, л, яб2яС=ц, ен2=яЯнев%ЯС=л, 2ельн/ м, яв=б%лев=н, ям, яС%л%Я, яр2=ян ЯЯлед%в=н, еяСр%в%а, л, я
 ре2р%ЯСек2, вн%я2, Ся, ЯЯлед%в=н, я:яЯп3ч=йф%н2р%льн
 С2=2, Я2, чеЯк=яябр=б%2к=д=нн/ явклуч=л=С%дЯне2яЯредн, эяр, фме2, чеЯк, эявел, ч, ня1 ЧяЯнд=р2н%а%
 %2кл%нен, яяЯредн, эяр, фме2, чеЯк, эяStdэр=ЯЯн, 2/ в=л, я2н%Я, 2ельн/ ияш=нЯ(ORЧя
 яд%Я2верн/ еяр=зл, ч, яяС%к=з=зелейямежд3ягр3СС=м, ядляяк%л, чеЯ2венн/ эяС%к=з=зелейяр=ЯЯн, 2/ в=л, ЯяС%к
 к%ф%ф, ц, ен23я2яо , рЯн=яАн=л, зяСр%в%а, л, яяС%м%д буюС=ке2=Я2=2, Я2, чеЯк, эяСр%а=р=ммяSPSSяНб%я
 г Я2н%в%лен%я2%н%Я2ельн/ ияш=нЯф2%н%а%Я2%м=2, 2=яСределяю2яЯлед3ю? , еяф=к2%ф/ :яЯд, =льн%ф
 б, %л%а, чеЯк, ея-яельЯк%ян=Ялен, ея(OR=5,19;я5%СI:1,07-25,12); ЧяСр%м/ шленн=яС/ лья(OR=9,24;я
 95%СI:1,11-76,04)Чявредн/ еяк%л%а, чеЯк, еяф=к2%ф/ яС%меЯ23як, 2ельЯ2в=н(OR=14,94;я5%СI:1,88-118,91)Чя
 С=2%л%а, яяжел3д%н%ф%к, шечн%а%2р=к2=н(OR=2,19;я5%СI:1,05-4,54)Чяян=т, яф%ж=льн%йя, нфекц, , я
 (OR=3,09;я5%СI:1,03-9,28)ЧяреЯС, р=2%н/ ея, нфекц, , я(OR=4,13;я5%СI:1,60-10,64)Чяр=вм/ яЯп, з, Я2%йя
 %б%л%к, я(OR=2,19;я5%СI:1,05-4,58)Чяям%д, %н=льн/ ияЯреЯЯн(OR=2,68;я5%СI:1,07-25,12); 2я
 (OR=2,72;я5%СI:1,25-5,94)Чя, нг, в, 2я(OR=4,22;я5%СI:1,55-11,49)Чя, г, ен, чеЯк, ея, ндекЯ/ ярСл%йя
 (OR=10,56;я5%СI:1,29-86,12)Чя, я2ч, я2еньяСл%йя(OR=5,88;я5%СI:1,23-28,09)Чяяене2, чеЯк, ияф=к2%фя
 (OR=3,55;я5%СI:1,08-11,72)Чя

я

я

я

я

я

Risk factors of aphthous stomatitis

Kh. Koridze

Aphthous stomatitis represents one of the most wide-spread disease of an oral cavity. The purpose of the work: definition of risk factors of an aphthous stomatitis and calculation of relative chance for each factor. The work has been fulfilled on the basis of research of 61 patients from a quota of the Tbilisi hospital of the veterans of the war. As a control a state of the oral cavity of 62 patients suffering from noninflammatory pathologies was studied. Research spent retrospectiv, phylum of research - case - control. The statistical data processing included inventory arithmetic means of values (i), standard deviation of arithmetic means Std. Have calculated Odds ratio (OR).

The authentic differences of parameters between groups for quantitative parameters settled up on quotient c2 Pearson. Analysis were carried out with the help of a package of statistical programs SPSS 11.5
 It was found, that the relative chance of an aphthous stomatitis is determined by the following factors social - biological - peasant (OR=5,19; 95%CI:1,07-25,12); effect of industrial saw (OR=9,24; 95%CI:1,11-76,04); harmful ecological factors of residences (OR=14,94; 95%CI:1,88-118,91); pathologies of gastrointestinal tract (OR=2,19; 95%CI:1,05-4,54); the loci of focal infection contaminations (OR=3,09; 95%CI:1,03-9,28); respiratory infection contaminations (OR=4,13; 95%CI:1,60-10,64); traumata of a mucosa (OR=2,19; 95%CI:1,05-4,58); an emotional stress (OR=2,68; 95%CI:1,07-25,12); parodontitis (OR=2,72; 95%CI:1,25-5,94); ulitis (OR=4,22; 95%CI:1,55-11,49); hygienic indexes - bad (OR=10,56; 95%CI:1,29-86,12) and very bad (OR=5,88; 95%CI:1,23-28,09); the genetic factor (OR=3,55; 95%CI:1,08-11,72).

ლიტერატურა:

Л, тература:

1. с=йя22я3яренн, яд_яо 32ев%а, 2ельяя, 2=зеляямед, ц, нЯк%йял, 2ер=23р/ я-яо р, нц, С/ якл, н, чеЯк%йя
 Ср=к2, к, я2н%в=нн%йян=д%к=з=нн%мэп зд=зельЯ2в%а ед, яяСфер=я э2003я

2. Akintoye SO, Greenberg MS. _ Recurrent aphthous stomatitis. Dent Clin North Am. 2005 Jan;49(1):31-47

3. Davis CC, Squier CA, Lilly GE. _ Irritant contact stomatitis: a review of the condition. J Periodontol 1998 Jun; 69(6): 620-31 Jul;74(1):79-86

4. Rivera-Hidalgo F, Shulman JD, Beach MM. _ The association of tobacco and other factors with recurrent aphthous stomatitis in an US adult population. Oral Dis. 2004 Nov;10(6):335-45.

5. Vincent SD, Lilly GE. _ Clinical, historic, and therapeutic features of aphthous stomatitis. Literature review and open clinical trial employing steroids. Oral Surg Oral Med Oral Pathol. 1992.

ბიოკოლიმერული ფირფიტების გამოყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა სამკურნალოდ

მედ. მეცნ. კანდ. მ. შანიძე, ნ. მენაბდე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტომატოლოგიური კათედრა

ღრუს დაავადებათა მკურნალობის დროს ადგილობრივად ვიყენებთ ანტიბიოტიკურ, ანთების საწინააღმდეგო, რეგენერაციის დამაჩქარებელ პრეპარატებს. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ბაქტერიოლოგიურ ფლორაზე ზემოქმედებას ანტიბიოტიკებისა და ფაგების გამოყენებით. სამკურნალო საშუალებები გამოიყენება სავლების, აბაზანის, აპლიკაციის სახით. სამწუხაროდ, პრეპარატების უმრავლესობა მოქმედებს მხოლოდ ერთმხრივად და არა რამდენიმე ფაქტორზე ერთდროულად. ამიტომ საჭიროა ყველა მედიკამენტის თანმიმდევრობით გამოყენება, რაც დიდ დროსა და ხარჯს მოითხოვს. ამასთან, ცხიმოვან საფუძველზე დამზადებული მაღამოები ზღუდავს მათში არსებულ ანტიბაქტერიულ საშუალებებს ქსოვილში ღრმად იმოქმედოს ბაქტერიულ ფლორაზე და რაც მთავარია, პირის ღრუში შეტანილი პრეპარატების მოქმედება გრძელდება მოკლე ხნით, რადგან პრეპარატები გამოირეცხება და განზავდება ნერწყვის, ღრძილის ჯიბის სითხის, სეროზული და ჩირქოვანი გამონადენის ზემოქმედებით. ამიტომ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა სამკურნალოდ საჭიროა ისეთი მეთოდის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივად პათოლოგიურ კერაზე სხვადასხვა პრეპარატის ხანგრძლივ ზემოქმედებას. ამ მიზნით, პირის ღრუს დაავადებათა სამკურნალოდ მიზანშეწონილია ბიოპოლიმერული ფირფიტების გამოყენება. ფირფიტა, რომელშიც ჩატვირთულია სამკურნალო პრეპარატი, დაეკრობა ლორწოვან გარსს და რამდენიმე საათის განმავლობაში განახორციელებს პრეპარატის მოქმედებას პათოლოგიურ უბანზე.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ ადგილობრივად გამოვიყენებ ახალი სამამულო პრეპარატი - „ფაგობიოდერმი – დენტა“, რომელიც შეიქმნა სამედიცინო პოლიმერებისა და ბიომასალების ცენტრში პროფ. რ.ქაცარავას ხელმძღვანელობით.

„ფაგობიოდერმი – დენტა“ წარმოადგენს ბიოდეგრადირებად პოლიმერს, შექმნილია ალიფატური დიკარბონწყავეებისა და შეუცვლელი ამინომჟავების საფუძველზე, რომელშიც იმპრეგნირებულია პიოფაგი, ფერმენტი ხ ქიმოტრიფსინი, ანტიბიოტიკები და ანესთეტიკი.

ბიოდეგრადირებადი პოლიმერები ექვემდებარება კონტროლირებულ ბიოდეგრადაციას. მათი დაშლის დროს გამოიყოფა აქტიური საწყისი, ასევე დაბალმოლეკულური პროდუქტები, რომლებიც იწვევს მაკროფაგების გააქტიურების სტიმულაციას და აჩქარებს დაზიანებული ქსოვილის რეპარაციულ პროცესებს.

ბიოდეგრადირებადი ფირფიტები მოყვითალო შეფერილობისაა, ზომით 80 x 10 x 0,1 მმ, ადვილად იჭრება და შეიძლება მივცეთ სასურველი ფორმა.

მკურნალობა ჩაუტარდა 53 პაციენტს მწვავე და ქრონიკული ტრავმის, სტრეპტოკოკული და სტაფილოკოკური ინფექციების და ქრონიკული რეციდიული აფთოზური სტომატიტის დიაგნოზით.

ზოგადი მკურნალობის ფონზე ადგილობრივი მკურნალობა ტარდებოდა შემდეგი სქემით: ანტისეპტიკური დამუშავების შემდეგ, პირის ღრუს ლორწოვან გარსზე ვაკრავდით „ფაგობიოდერმი – დენტას“ ფირფიტებს, ეროზიების, წყლულისა და აფთების არსებობის შემთხვევაში. ფირფიტით ვფარავდით უშუალოდ პათოლოგიურ კერას და ვტოვებდით პირის ღრუში 4 – 5 საათით საკვების მიღებამდე. პროცედურას ვიმეორებდით დღეში რამდენჯერმე. პირის ღრუში შეტანამდე ფირფიტებს 5 წუთის განმავლობაში ვამუშავებდით ნატრიუმის ბიკარბონატის 3 %-იან ხსნარში.

პირველი პროცედურის ჩატარების შემდეგ, პაციენტებს ეხსნებათ ტკივილის, დისკომფორტის შეგრძნება.

პათოლოგიური ელემენტების ეპითელიზაცია ხდება მე-2, 3 დღეს.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბიოპოლიმერული ფირფიტა „ფაგობიოდერმი – დენტა“ ერთდროულად ახორციელებს ტკივილდამაყუჩებელ, ანთების საწინააღმდეგო, რეგენერაციის დამაჩქარებელ ზემოქმედებას მასში ჩატვირთული ანესთეტიკის, ანტიბიოტიკების, ფერმენტებისა და პიოფაგის ზემოქმედებით და, ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით (სავლები, აპლიკაცია), საგრძნობლად ამცირებს მკურნალობის ხანგრძლივობას.

პრეპარატი არ იწვევს გვერდით მოვლენებს, ფირფიტების გამოყენება ძალიან მარტივი და მოხერხებულია პაციენტისათვის. ბიოპოლიმერული ფირფიტები გვეხმარება თავიდან ავიცილოთ მრავალჯერადი პროცედურა და დიდი რაოდენობით მედიკამენტების გამოყენება, და რაც მთავარია, ფირფიტები საშუალებას გვაძლევს მათში დეპონირებული პრეპარატების პროლონგირებული ზემოქმედებით სწრაფად მივაღწიოთ სასურველ ეფექტს.

я
я
Пр, менен, еяб, оСол, мерныяСлаЯг, нокадЛЯялечен, Яяваболеван, йяЯп, з, ЯгойяболоЧк, яСолоЯг, яртая

я
я
КАНДэМЕДэНАУКяМяШАНИДЗЕ, яНэМЕНАБДЕя

я
Ка- едраЯгоматолог, , ямед, ц, нЯгогя- акультетаяПГУя

я
о р, менен, еяя%к%а%СреСр=2=жт =%б, %дермфден2=явялечен, , янек%2%ф/ эяб=6%тев=н, йяЯп, з, Я%ия
%б%и%к, яС%и%Я, яр2=яв/ Я%к%ф фек2, вн%ю реСр=2яр=к2ер, з3е2Яяб%иe32%ияю? , мя, я
Ср%2, в%к%ЯС=т, 2ельн/ мядейЯВ, ем,яЯ, м3л, р3е2яСр%иеЯЯ/ ярегенер=ц, , я яЯ%кр=? =2яЯ%к, ялечен, яя
о ленк=яСр%Я=яяСр, менен, , ,янея, мее2яС%б%и/ эяявлен, йя, яС%иценеяд%ЯЗСн=адляяС=ц, ен2%кя

я
я
я
я
я

APPLICATION OF BIOPOLYMER TABS FOR THE TREATMENT OF MUCOUS MEMBRANE OF ORAL CAVITY

M. Shanidze, N. Menabde

The application of new preparation – “Phagobioderm – denta” in cavity gives good results. The preparation has analgetic, antiinflammatory actions, stimulates the processes of regeneration and reduces the time of treatment. It has no side effects, is rather simple while usage and not expensive.

ლიტერატურა:

Л, температура:

1. ცინცაძე თ., მარკოიშვილი კ., ფარდალავა დ., ალავიძე ზ., წითლანაძე გ., ქაცარავა რ., გონგაძე ნ. – ბიოკომპოზიციური საშუალებების „ფაგობიოდერმის“ ჭრილობების შემასორცებელი თვისებები და კლინიკური ეფექტურობა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ფიზიოლოგთა მეორე ყრილობის მასალები. თბილისი. 2000. გვ.181–182.
2. ТЗЯк, яяТзр , нцдзаяТзр , 2лндзаязр % Яцр=С, шв, л, я дЯл=В, дзаядЯК=цр=в=р=зЯ %дердз, шв, л, я 1 а-я еэ=н, змяр=н=з=ж, вляю? ег%дейЯВ, яяЯредЯВ=жт =%н, %дерм»аGeorgianяMedicalяNews,я2000,я №6(63ЧяЯН№4я
3. ამ , нцдзаяТз а-я ценк=р%ж%т%ж, вляю? ег%дейЯВ, яя Ян2, м, кр%н%н%як2, вн%В, яЯредЯВ=я «t =%н, %дерм»ა ежд3н=р%н=ян=3чн=яя%нференц, яян=ემ3:яАк23=н/ еяСр%нлем/ ян, %н% , я я мед, ц, н/ »აТб, л, ЯЯк, йя%Вд=рЯВенн/ йян, верЯ 2e2я мэи д ж=в=, шв, л, ,яТб, л, ЯЯк=яямед, ц, нЯк=яя =к=дем, яя я нЯВ, 232я, %н% , чеЯк%н%ямед, ц, н/ я як%н% , , აТб, л, Я ,я200№яЯр=307ф№я
4. Markoishvili K., MD, Tsitlanadze G., MD, R.Katsarava, PhD, Glenn Morris J., Jr., MD, and Sulakvelidze A. – A novel sustained-release matrix based on biodegradable poly(esteramide)s and impregnated with bacteriophages and an antibiotic shows promise in management of infected venous ulcers and other poorly healing wounds. International Journal of Dermatology, 2002, 41, pp.1-6.
5. შანიძე მ., კანდელაკი ქ. – ქრონიკული რეციდიული აფთოზური სტომატიტის მკურნალობის საკითხები. I საერთაშორისო სამეცნიერო – მეთოდური კონფერენცია. მედიცინა კლასიკურ საუნივერსიტეტო განათლებაში. სამეცნ. შრ. კრებული. თბილისი 2002 წ.

პაროდონტიტიზის მიკრობული ეკოლოგია და ეტიოლოგიური მკურნალობა

თ. ნემსაძე

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მიკრობიოლოგიისა
და ეპიდემიოლოგიის კათედრა

პაროდონტის დაავადება ყბა-სახის მიდამოს პათოლოგიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე
გავრცელებული და რთული პათოლოგიაა.
ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, პაროდონტიტით დაავადებულია
დედამიწის მოსახლეობის 80%.

პაროდონტიტების ეტიოპათოგენეზში პრიორიტეტულია ინფექციური თეორია. სამამულო
სამედიცინო ლიტერატურაში ნაკლებად არის წარმოდგენილი პაროდონტიტების
ეტიოპათოგენეზი. ინფექციური აგენტების როლის შესახებ არ არსებობს მონაცემები
აღნიშნული პათოლოგიის განვითარებაში, განსაკუთრებით ანაერობული ბაქტერიების
შესახებ. პაროდონტიტების მკურნალობის სირთულე, ერთი მხრივ, აიხსნება მიკრობული
ფლორის მუდმივი ცვლილებით, ხოლო, მეორე მხრივ, ინფექციური აგენტების
მგრძობელობა-რეზისტენტობის მერყეობით.

გამოკვლევის მიზანს შეადგენდა განგვესაზღვრა პაროდონტის მიკრობული
ეკოსტრუქტურა, დაგვედგინა აერობული და ანაერობული ბაქტერიების ეტიოლოგიური
როლი, განგვესაზღვრა მათი ბიოქიმიური თვისებები და მგრძობელობა-რეზისტენტობა
ანტიბიოტიკული პრეპარატების მიმართ.

წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის
მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის კათედრაზე 2004-2005 წლებში.

მიკრობიოლოგიური გამოკვლევები ტარდებოდა აღნიშნულ კათედრასთან არსებულ
სამეცნიერო-ანალიტიკურ ცენტრში და შვეიცარია-საქართველოს ერთობლივ
დიაგნოსტიკურ ცენტრ „ჩიტო“-ში.

მიკრობიოლოგიური გამოკვლევის სამუშაო მასალას შეადგენდა პაროდონტიტით
დაავადებული 18 ავადმყოფის პაროდონტული ჯიბიდან აღებული ექსუდატი ან კიურეტაჟის
შედგად მიღებული მასალა. ავადმყოფების ასაკი მერყეობდა 9-დან 65 წლამდე.
საკვლევი მასალის მორფოლოგიური და ბაქტერიოსკოპული შესწავლისათვის
გამოიყენებოდა როგორც ნატიური პრეპარატები, ისე გრამის წესით შეღებილი ნაცხები.
აერობული ბაქტერიების იდენტიფიკაცია და ბიოლოგიური თვისებების შესწავლა ხდებოდა
კლასიკური ბაქტერიოლოგიური მეთოდებით (სუფთა კულტურის გამოყოფა,
იდენტიფიკაცია, მორფოლოგიური, ბიოქიმიური და სხვა) [2;3;4]. აერობული ბაქტერიების
ანტიბიოტიკების მიმართ მგრძობელობა-რეზისტენტობის განსაზღვრა ხდებოდა დისკო-
დიფუზური მეთოდით [3,4].

ანაერობული ბაქტერიების იდენტიფიკაცია და ბიოქიმიური თვისებების შესწავლა
წარმოებდა მაღალი სიზუსტის Api 20 A სისტემით (bioMerieux-საფრანგეთი), ხოლო
მგრძობელობა-რეზისტენტობას ვსაზღვრავდით ATB ANA სისტემით [1].

გამოკვლევების დროს მიკრობთა იზოლირება მოხერხდა ყველა შემთხვევაში. სულ
ამოთვლილია 39 ბაქტერიული შტამი და საფუარასებრი სოკოს *C. albicans*-ის 8 შტამი,
რაც გამოკვლეული ავადმყოფების 44,5%-ია (ცხრილი 1). ბაქტერიები მონოკულტურაში
